# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ორშაბათი 29 იანვარი 2007 №18 (2941) ფასი 50 თეთრი



## მტკივა, მაგრამ უნდა ჩამოვიდე

რატომ ეგონათ გერმანელებს კობიაშვილი ბაირამოვიჩი

2



## ქართული გოლები და... რა გოლი!

შოთა არველაძე ისევ გამოირჩა

3



## საბიო: ახალი უცხოელი დინამოში

ინტერვიუ ბუბა ტყავაძესთან

4



ინტერვიუ რობერ ვან დერ ვალესთან იხილეთ მე-6 გვერდზე

## ახალი ქართველები და ბელგიური ვალი

### ვან დერ ვალემ თბილისი და ძველი დრო გაიხსენა



## ფედერ!ერა! როჯერის ჯერი აღარ მთავრდება



მეოცე საუკუნის 90-იანი წლები და პიტ სამპრასის ეპოქა კარგად გვახსოვს და „პისტოლ-პიტი" ასე ვერ ჩაგრავდა და ალემატებოდა მეტოქეებს. ბიორნ ბორგს, ჯიმი კონორსსა თუ ჯონ მაკინროის ერთმანეთში ჰქონდათ კონკურენცია და ძნელი სათქმელი იყო, რომელი რომელს სჯობდა.

უფრო ძველს თუ ვიტყვით, ალბათ როდ ლეივერისა უნდა ვთქვათ, გასული საუკუნის სამოციან წლებში ორჯერ რომ გააკეთა დიდი სლემი და იმ დროს მართლაც ყველაზე დიდი იყო.

დღეს როჯერ ფედერერია ყველაზე დიდი და იქნებ ყველა დროის ყველაზე დიდიც. დიადმა ალპელმა ბოლო 15 სლემტურნირიდან 10 მოიგო, ბოლო შვიდიდან — ექვსი, შვიდჯერ ზედიზედ ფინალში ითამაშა და მიყოლებით თერთმეტჯერ — ნახევარფინალში.

სამპრასის ხარკორდო 14 სლემტიტულამდე ფედერერს ოთხილა აკლია და იქნებ, ლეივერის სეზონური სლემიც უკვე წელსვე გაიმეოროს, მით უმეტეს, რომ ავსტრალიაში შვეიცარიელმა სეტისწაუგებლად იმარჯვა - 7 მეტოქის დასამარცხებლად 21 სეტი იკმარა და ასეთი რამ ბოლოს ბორგმა შეძლო 1980 წლის „როლან გაროსზე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკივა, მაგრამ უნდა ჩამოვიდე

## რატომ ეგონათ გერმანელებს კობიაშვილი ბაირამოვიჩი



**ფრანკფურტელ ბენჯამინ ჰუგელთან შეჯახებამ ლევან კობიაშვილს ისეთი ტრავმა მიაყენა, რომ „შალკეს“ ქართველმა ლეგიონერმა მატჩი ვეღარ ჩაამთავრა — ასე უიღბლოდ დაიწყო ბუნდესლიგის მეორე წრე საქართველოს ნაკრების ლიდერისთვის. „შალკემ“ 3:1 დაამარცხა „აინტრახტი“ და კობიმ ამ მატჩში 70-ე წუთამდე გაძლო. მერე კი ტკივილმა ისე შეაწუხა, რომ შესაცვლელი შეიქნა. „რაც მთავარია, თითი მოტეხილი არ არის“ — დაწერა გუშინ „შალკეს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა და უფრო კონკრეტული ამბების გასაგებად ლევანს გელზენკირხენში შევეხმიანეთ...**

— მართალია, თითი მოტეხილი არ არის, მაგრამ ახლაც ძალიან მტკივა.

— ექიმები რას გეუბნებიან?

— დღეს სურათი გადამიღეს და საიმედო სწორედ ისაა, რომ მოტეხილობას გადავურჩი. ტკივილები კი ჯერაც მაქვს და რა ვიცი... როგორც მეუბნებიან, დღეს-ხვალ უკეთ გამოჩნდება ყველაფერი.

— ისე, შეჯახების მერე რამდენიმე წუთი მაინც დარჩი მოედანზე...

— ჰო, მაგრამ ვეღარ გავძელი, მერე და მერე ტკივილმა ძალიან შემაწუხა და თამაშიც ამიტომ ვეღარ ჩავამთავრე.

— მოკლედ, ტრავმა არც ისე სერიოზული ჩანს...

— მეც ასე ვფიქრობ, თუმცა ისეთი უხერხული შეჯახება იყო, რომ ფეხის თითის გარდა კოჭთანაც მაქვს დაზიანებები. ექიმების თქმით, საშიში არ არის და ვნახოთ, ეგებ ხვალ მსუბუქად ვივარჯიშო კიდეც...

— ანუ თურქეთთან ამხანაგური მატჩისთვის ჩამოხვალ?

— აუცილებლად. თუ რამ სასწაული არ მოხდა, უეჭველად ჩამოვალ. არა მგონია, ამაში ხელი რამემ შემიშალოს.

— ისე, იანვრიდან მოყოლებული, მოკლე ხანში ტრავმები ძალიან „გაგიშინაურდნენ“...

— მოსამზადებელი შეკრების დასაწყისში რომ „დავშავდი“ იმას გულისხმობ?

— ტყუილი იყო?

— გერმანელებს ზლატან ბაირამოვიჩში შევეშალე და ჩემზე დაწერეს, არადა, სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. მე არაფერი მაწუხებდა, ბაირამოვიჩი იყო ტრავმირებული.

— კლაუს ტოპმიოლერი ხომ არ შეგხმიანებია ამ ბოლო ხანს?

— ნაახალწლევს ველაპარაკე, მას შემდეგ არ შემხმიანებია...

— ამასობაში კი ბუნდესლიგის ლიდერები ხართ — ამაზე უკეთეს დასაწყისს ალბათ ვერც ინატრებდით...

— „ბაიერნის“ წაგება მართლაც მოულოდნელი იყო... ახლა პირველ ადგილზე ჩვენ და „ვერდერი“ ვართ. არადა, „ვერდერი“ — „ჰანოვერის“ მატჩში მთელი გელზენკირხენი „ჰანოვერს“ ქომაგობდა.

— მომდევნო ტურში კი არცთუ ძნელი მატჩი გაქვთ — შინ „ალემანიასთან“...

— იმედი მაქვს, იმ მატჩში მეც დავეხმარები „შალკეს“. ვნახოთ, ჩემპიონობა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

**ქახა შალამბერიძე**

# ქართული გოლები და... რა გოლი!



შოთა არველაძის ჯადო-გოლი

**მაინც** ტრადიციად იქცა, სანაკრებო მატჩის წინ ქართველ ფეხბურთელებს ტრავმების ჭია შეუჩნდებათ ხოლმე, თუმცა, საბედნიეროდ, ლევან კობიაშვილის ტრავმა საშიში არ გამოდგა...

კობი „აინტრახტი“ — „შალკეს“ 70-ე წუთზე შეცვალეს, „ხუმარებმა“ კი 3:1 მოიგეს სტუმრად და ცხრილის თანაყოჩებად დარჩნენ ბრემენის „ვერდერთან“ ერთად. თანაც წააგო მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც უკვე 6 ქულით ჩამორჩება ლიდერთა დუეტს.

ჰოლანდიურ ერედივიზიონში მეთერთმეტე საამსეზონო გოლი მიითვალა შოთა არველაძემ. „ალკმაარის“ ქართველ ბომბარდირს ზედიზედ რამდენიმე მატჩში არ გაეტანა და ამჟამად როტერდამის „სპარტას“ წალეკვას (3:0) მისცა დინება, თანაც, რა გოლით... საჯარიმოს მისადგომებთან ზურგით მდგომმა მიიღო ბურთი, მცველს თავზე გადაუგდო და მიწაზე დაუშვებლად დაარტყა — ბურთი ხარიხიდან ასხლეტით შევარდა კარში.

ინგლისში ასოციაციის თასის მეოთხე ეტაპი რიხინ-რიხინით გაირა ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნმა“, რომელმაც „მორეკომბს“ 4:0 სძლია. „ხიზანამ“ 79 წუთი იბურთავა და ყვითელი ბარათი მიიღო.

როგორც ჩანს, მათე ღვინიანიძე უკვე იმხელა ძალაა „მიუნხენ 1860-ში“, რომ მისი არყოფნა მთლიანად ქსაქსავს გუნდს. ჩვენიანმა ტრავმის გამო ვერ ითამაშა, „ლომებმა“ კი 1:2 დათმეს „ოფენბახთან“.

ჰო, ღვინიანიძის გუნდს პირველი ბურთი კლაუს ტოპმიოლერის ვაჟმა, დინომ გაუტანა.

სამაგიეროდ, ზამთრის შესვენების შემდეგ „ფრაიბურგი“ მოფერიანებულა. ფოლკერ ფინკეს გუნდმა წინა ტურში ოდინდელ ლიდერ როსტოკის „ჰანზას“ სტუმრად მოუგო, ამჯერად კი შინ „ესენი“ 3:1 წააქცია. ჩვენთვის სასიამოვნო კი ისაა, რომ პირველი „გერმანული“ გოლი გაიტანა ოთარ ხიზანეიშვილმა — იგი 68-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და სამ წუთში ანგარიში გახსნა: ალექსანდრე იაშვილის დაგორებული ბურთი დაბალ კუთხეში შესვა. იაშვილმა კი ოთარის გოლიდან ხუთ წუთში კიდევ ერთი საგოლე პასი გააკეთა.

ერცგებირგეს აუე ბუნდესლიგაში გადასვლას სერიოზულად უმიზნებს და ახლა „ჰანზა“ 3:0 გაანადგურა, თუმცა ამაში დავით სირაძის წვლილი ძალიან მცირეა — ჩვენიანი 85-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და რაღა უნდა მოესწრო...

კვიპროსის ჩემპიონატში კი ქართული დუბლი გავიდა — კლიმენტი წიტაიშვილმა ახალი გუნდის შემადგენლობაში ორი გოლი შეაგდო და მისმა აეკ-მა 3:3 ითამაშა სტუმრად „სალამინასთან“.

**ილია ნანობაშვილი**



# პრეზიდენტი. კოორდინატორი. ორგანიზატორი

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ევრომარაქაში სუბორდინაციულადაც გაერია — ეს 25-26 იანვარს დიუსელდორფში გამართულ უეფას კონგრესის დროს მოხდა.

დაახლოებით ერთი თვით ადრე რუმინეთში უეფას წევრი 27 ქვეყნის საფეხბურთო მაღალჩინოსნები შეიკრიბნენ. იგივე შემადგენლობიდან დიუსელდორფის კონგრესზე უეფას პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე შეიკრიბა 24 ქვეყანა და ამ ღონისძიების ორგანიზატორი ნოდარ ახალკაცი იყო. ჰოდა, გადაწყდა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ამ 27 ქვეყნის წარმომადგენელთა კოორდინატორი და შეხვედრათა ორგანიზატორი იქნება მომავალშიც.

ამ 27 ქვეყანას მეტწილად აღმოსავლეთ ევროპის საფეხბურთო ასოციაციები წარმოადგენენ და მათი მომავალი შეხვედრა თბილისში გაიმართება, რომლის თარიღიც მალე დადგინდება.

**დავით თავართქილაძე**

## თანამეგობრობის თასი 2007

**ფინალი**

**ფახთაქორი (უზბეკეთი) 0:0 (პენ. 9:8) ვენტსპილსი (ლატვია)**



ვიზა და, გოგიტა გოგუა შოტლანდიაში გაფრინდება

# დილას უტევს გოგიტა გოგუა

## გერმანიამოვლილი ქართველი გორში

### ოლიმპი 1:0 დილა

1:0 აფციაური (30)

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, გ. ონიანი, ხუბუა, სეთურიძე, არზიანი, ქებაძე, აფციაური, კახელიშვილი, დვალიშვილი, რ. გოცირიძე

*მეორე ტაიმში შევიდნენ: მ. ალავიძე, ხოხონიშვილი, მ. ბურნაძე, გოგუა, ჭეიშვილი, ვაჩიბერაძე, ბერუაშვილი, რეხვიაშვილი, ჩხარტიშვილი, სეფისკვერაძე*

დილა: თევდორაძე, გ. ჩიტაია, ლომაშვილი, კობახიძე, დ. ხანიშვილი, კ. ხანიშვილი, აბრამიშვილი, ქობულია, ბალიაშვილი, ვარდოსანიძე, ბ. ჩიტაია

*მეორე ტაიმში შევიდნენ: კურტანიძე, სადალაშვილი, ტლაშაძე, სამადაშვილი, თაყაძე*

„ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე რევაზ ძოძუაშვილის გუნდმა კინკილა გოლით აჯობა გორის „დილას“.

30-ე წუთი იყო, როცა ზურაბ არზიანმა ვლადიმერ დვალიშვილს გააყოლა ბურთი, მან რევაზ გოცირიძეს უპასა, რომელმაც დასარტყმელად გაუმზადა თორნიკე აფციაურს და ასე გავიდა ერთადერთი გოლი.

პირველ ტაიმში ძოძუაშვილმა ძირითადი შემადგენლობა დააყენა და ამიტომაც იმარჯვა ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან, თორემ მეორე ნახევარში „დილა“ გაცილებით ფხიანად ათამაშდა და სამჯერ შეეძლო გათანაბრება.

ოქმში გოგუას გვარმა არ გაგაკვირვოთ — გოგიტა თბილისში ორიოდ დღით ჩამოვიდა, სავიზო პრობლემები უნდა მოაგვაროს და „ჰართსის“ მომდევნო მატჩში, ეგებ, ითამაშოს კიდეც. გუშინ კი საქართველოს ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა „ოლიმპში“ გააგორა ბურთი, თანაც თავდამსხმელად გაისარჯა.

როგორც იცით, რუსთაველებმა ორი დღით წინ აზერბაიჯანულ „შახდაგთან“ 1:1 ითამაშეს და მას შემდეგ გუნდში ახალი ფეხბურთელი არ გამოჩენილა — რევაზ ძოძუაშვილს გასინჯვაზე ჰყავს რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც მეორე ტაიმში ნახა საქმეში.

რაც შეეხება „დილას“, ერთი ახალი სახე ჰყავს: მარცხენა ნახევარმცველად მოთამაშე 20 წლის ქობალიას ადრე „დინამო 2“-ში უბურთავია, შემდეგ მოსკოვის „ლოკომოტივშიც“ ისინჯებოდა, ბოლოს კი გერმანიის ერთ-ერთ ობერლიგურ გუნდში იყო.

და კიდევ: მომდევნო მატჩში „ოლიმპი“ საქართველოს მოყვარულთა ნაკრებს გაეჯიბრება.

**ილია ნანობაშვილი**


GFF TRAVEL

24 მარტი
შოტლანდია-საქართველო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მასთან არსებული ტურისტული კომპანია “GFF TRAVEL”-ი გაძლევთ შანსს, უგულშემატკივროთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს...
... და გთავაზობთ ოთხდღიან დაუვიწყარ მოგზაურობას შოტლანდიაში. ყველა გულშემატკივარს, ფეხბურთის ფედერაცია ასაჩუქრებს მატჩზე დასასწრები ბილეთით.

იჩქარეთ!!! ადგილები შეზღუდულია. საბუთები მიიღება 15 თებერვლამდე. ჩვენს ბიჭებს თქვენი მხარდაჭერა სჭირდებათ!
ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: +995-32-917014; +995-32-917015; +995-77-900902.
მის: ჭავჭავაძის 76.

აქციის მხარდამჭერები არიან
24 საათი, ოლიმპი, სარბიელი


# ლოკომოტიველებმა პირველი წრე შეცვალეს

### ლოკომოტივი 1:0 ტორპედო

1:0 ბახტაძე

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, გ. კვახაძე, ებრალიძე, ფოფხაძე, ელიზბარაშვილი, გულორდავა, მალიჩავა, ბარბაქაძე, წუწუნავა, სოსელია

*შეცვლაზე შევიდნენ: ბერიძე, ბახტაძე, მ. ტლენტი, კირკიტაძე, ივანაძე, სახვაძე*

ტორპედო: კოდალაევი, გ. ჩხაიძე, ფარულავა, იობაშვილი, კილასონია, ლალაძე, ნ. ნადირაძე, კვეტენაძე, დოლონაძე, თურქიაშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ: მახარაძე, წიქარიშვილი*

თუ „ტორპედოსთვის“ ეს მესამე ტესტ-მატჩი იყო, „ლოკომოტივისთვის“ პირველი გახლდათ და მათი საქმეში ნახვა საინტერესო იყო.

ტერიტორიული უპირატესობა „ტორპედოსი“ იყო, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. გიორგი კიკნაძეს სათამაშო სქემის გადაწყობა შეხვედრის მიმდინარეობისას მოუხდა. „ტორპედომ“ თამაში 4-2-3-1 სქემით დაიწყო, გაშვებული ბურთის შემდეგ კი 4-4-2-ზე გადაეწყო, მაგრამ ამაოდ.

„ლოკომოტივმა“ თამაში კონტრშეტევაზე ააწყო და გატანილი ბურთის გარდა კიდევ სამი საგოლე მომენტი ჰქონდა, თუმც ხან თავდამსხმელები სცოდავდნენ, ხანაც ბესიკ კოდალაევი ირჯებოდა უშეცდომოდ.

მატჩის შემდეგ ორივე გუნდის მწვრთნელებს გავესაუბრეთ...

*ამირან მინაშვილი („ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი):* „მზადების პირველი ეტაპი დარბაზში გავიარეთ და, ცხადია, ძირითადი ყურადღება ფიზიკურ ვარჯიშებზე გვქონდა გადატანილი...

...ეს ჩვენი პირველი ტესტ-მატჩი იყო და, უნდა ითქვას, დამაკმაყოფილებლად ვითამაშეთ. ბიჭებმა ეპიზოდებში კარგად გაართვეს თავი დავალებას...

...რაც შეეხება სათამაშო სქემას, „ტორპედოსთან“ შეტევაში წასვლამ პირველ წრეში არ მოგვიტანა შედეგი, ამჯერად კონტრშეტევაზე ვცადეთ თამაშის აწყობა და მოვიგეთ კიდეც“.

*ზაზა ზამთარაძე („ტორპედოს“ მწვრთნელი):* „გუნდი ნელ-ნელა იკვრება. დღესაც რამდენიმე ფეხბურთელი გავსინჯეთ და ორი ტაქტიკური ვარიანტი მოვსინჯეთ. იმის მიუხედავად, რომ ბურთი გავუშვით, მეორე ტაიმში მაინც უკეთესად გამოვიყურებოდით“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ცა კი არა, საფუძველი

## გიორგი კიკნაძის ოპტიმიზაცია

მესამე საკონტროლო მატჩი გამართა ქუთაისის „ტორპედომ“. რიონისპირელები თბილისის „ლოკომოტივს“ შეხვდნენ და 0:1 დამარცხდნენ. თუ „ამერი 2“-თან გამარჯვებას არ ჩავთვლით, ქუთათურებმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესლიგელებთან ორივე თამაში ისე დათმო, გოლიც არ გაუტანია. როგორც ჩანს, „ტორპედოს“ ახალგაზრდა მთავარ მწვრთნელ გიორგი კიკნაძეს სამუშაო საკმაოდ ექნება...



გიორგი კიკნაძე და მისი თანაშემწე ზაზა ზამთარაძე

— მესამე ტესტ-მატჩი გამართეთ და ალბათ უკვე გექნებათ შეხედულება თქვენს ახალ გუნდზე...

— უნდა ითქვას, რომ სწორედ ამ მატჩში გამოიკვეთა ოპტიმალური შემადგენლობა, რომლითაც გუნდი მეორე წრეში ითამაშებს. ახლა ამ შემადგენლობასთან ვიმუშავებთ და გარკვეულ მონახაზსაც შევქმნით.

— თამაშის ხარისხით უკმაყოფილო იქნებით...

— მთლად უკმაყოფილოც არ ვარ. თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ არის.

— ირაკლი სირბილაძის „ტორპედოში“ გადმოსვლა გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ ეს ფეხბურთელი თბილისის „დინამომ“ წაიყვანა შეკრებაზე...

— იყო რაღაც ფორმალური საკითხები, რაც არ მოგვარდა და სირბილაძეც „დინამოში“ გადავიდა. სამაგიეროდ, იმავ „დინამოდან“ გადმოვიყვანეთ კახა მახარაძე, რომლის გარჯითაც კმაყოფილი ვარ.

— ასეთი გუნდით დიდი მიზნები ალბათ არ გექნებათ...

— ამ ეტაპზე არც არავინ ფიქრობს ციდან ვარსკვლავების ჩამოწყვეტას. მთავარია, სამომავლო საქმეს აქედანვე ჩავუყაროთ საფუძველი.

— სპონსორის თაობაზე არაფერი გარკვეულა?

— ამ ეტაპზე დაფინანსება გვაქვს, სპონსორის ვინაობა კი ოვის ბოლომდე გაირკვევა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ამერმა ვარჯიში მილოცვით დაიწყო



გიორგი ჩიხრაძე

თბილისის „ამერი“ ანთალიურ შეკრებაზე იმავე მარშრუტით გაემგზავრა, როგორითაც პირველი შეკრებისას.

თბილისიდან 26 იანვარს წამოსულმა გუნდმა ღამე გრიგოლეთში, სასტუმრო „ანდამატში“ გაათია, მეორე დილას კი ავტობუსით ტრაპიზონში ჩავიდა, საიდანაც ანთალიაში გადაფრინდა. ოღონდ წინა შეკრებისგან განსხვავებით, სასტუმრო „ატლანტისის“ ნაცვლად სასტუმრო „არკადიაში“ დაბინავდა, სადაც შარშან და შარშანწინაც გადიოდა შეკრებას.

ჩასვლისთანავე გიორგი ჩიხრაძემ მსუბუქი ვარჯიში ჩაატარა. გუშინ კი, დილის ვარჯიშის დაწყებამდე ამერელებმა მთავარ მწვრთნელს დაბადების დღე მიულოცეს — ჩიხრაძე 40 წლის გახდა.

ამ შეკრებაზე „ამერი“ ოთხი ამხანაგური მატჩის გამართვას გეგმავს, ამათგან პირველს ხორვატიულ „სლავენ-ბელუპოსთან“ 30 იანვარს ჩაატარებს.

**გიორგი დარჯანია ანთალიიდან**



# ორი ბაქოური

## ჰაინც ტოპმიოლერს აზერბაიჯანიც შესთავაზეს

**საქართველოს** 19-წლამდელთა ნაკრებმა კიდევ ორი ამხანაგური მატჩი დაგეგმა — 23 და 25 აპრილის ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდები ბაქოში აზერბაიჯანელ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

ქართველმა 19-წლამდელებმა ამ რამდენიმე დღის წინ დაასრულეს თურქული შეკრება, სადაც ორი ამხანაგური მატჩი გამართეს — „ტრაბზონსფორის" ახალგაზრდულ გუნდთან (0:2) და „არაკლისფორთან" (1:1); მარტში ჩვენებს გერმანული შეკრება ელით სამი ტესტ-მატჩით — ერთი გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებთან, ორიც გერმანულ კლუბებთან.

და აი, ამ ყველაფერს ბაქოური სპარინგებიც დაემატა.

ალბათ შეხსენებაც არ გინდათ, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს მაისში ევროშესარჩევი ელიტ-რაუნდი ელის. სხვათა შორის, ამისთვის ემზადებიან აზერბაიჯანელებიც...

**ბაჩა ზალამბერიძე**

# მუმუს 0, გვაზავას 18

**სამარის** „კრილია სოვეტოვმა" კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა, ამჯერად კრაკოვის „ვისლასთან" და 1:2 დამარცხდა. დავით მუჯირი მცირე ტრავმის გამო რომ უქმობს და ინდივიდუალურად ვარჯიშობს, უკვე გამცნეთ. სამაგიეროდ, მეორედ მოირგო სამარელთა მაისურა ლევან გვაზავამ.

სერგეი ობორინმა ქართველი ნახევარმცველი ისევ შეცვლაზე შეიყვანა და 18 წუთი ათამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თვალი თვალი



LE HAVRE. — A l'image de Gourouli, contré ici par Zidane, Le Havre n'a jamais fait la loi hier contre Bordeaux. (Photo REUTER)

*თბილისის ფორუმის ვებგვერდზე ერთი საინტერესო სურათი ვნახეთ. ერთ-ერთი გულშემატკივრის, valensieli-ს არქივში საფრანგეთის ჩემპიონატის „რაიტერისეული" ფოტო აღმოჩნდა, რომელზეც ზინედინ ზიდანი და გია გურული არიან აღბეჭდილნი. ერთმანეთს ზიზუს „ბორდო" და ქართველის „ლე ავრი" ეთამაშებიან.*

*ვერაფერს იტყვი გარდა იმისა, რომ ფოტო 14 წლისაა, მატჩი კი „ბორდომ" 1:0 მოიგო...*

*საინტერესოა, რომ იმ ჩემპიონატში ზიდანმა 10 ბურთი გაიტანა და ერთით გაუსწრო გურულს...*

# საბიო — ახალი უცხოელი დინამოში

## ბუბა ტყავაძე: ბრაზილია ჯერ შორსაა, ახლოს ზელიჩი და კრშკო არიან



**თბილისის „დინამო" ანთალიაში საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადების ბოლო ეტაპზეა და გუშინ კიდევ ერთი ახალი ფეხბურთელით გააგრძელა ვარჯიში — გუნდს ბრაზილიელი ფორვარდი საბიო შეემატა, რომელიც თბილისელებთან შეკრების ბოლომდე დარჩება და მერე მწვრთნელი იტყვის, სურს თუ არა ის „დინამოში". ამ ბრაზილიელის გუნდში მისვლა „დინამოს" მმართველი დირექტორის ბუბა ტყავაძისა და სპორტული კოორდინატორის გია ჯიშკარიანის ბრაზილიაში ყოფნას მოჰყვა. გეხსომებათ, „დინამომ" და სახელოვანი „კორინთიანსის" ხელმძღვანელობამ თავის დროზე ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს, ახლა კი თბილისელთა უფროსობა სან პაულუს საპასუხო ვიზიტით ესტუმრა და თან ამ თავდამსხმელსაც მოურიგდა...**

— საქმიანი და სასარგებლო ვიზიტი იყო, „კორინთიანსის" ხელმძღვანელობამ კლუბის მართვის თავისებური გამოცდილება გაგვიზიარა, მივიღეთ გამოსადეგი რჩევები — გვითხრა თბილისში დაბრუნებულმა ბუბა ტყავაძემ, ვინც წუხელ უკვე „დინამოსთან" ანთალიაში გაემგზავრა — ცხადია, მასპინძლებმა ჩვენც გამოგვკითხეს აქაური ამბები, ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და სისტემატური შეხვედრების იმედით დავემშვიდობეთ ერთმანეთს და შესაძლოა, მალე „დინამოსა" და „კორინთიანსს" შორის ფეხბურთელთა გაცვლაც დაიწყოს. ეს რეალური პროექტია და მისი განხორციელებით ორივე მხარე ვართ დაინტერესებულნი.

**— ითქვა, შესაძლოა, „კორინთიანსიდან" „დინამოს" რამდენიმე ფეხბურთელი ახლავე დაემატოსო. ამ საკითხზე მოლაპარაკება არ გქონდათ?**

— კარგი იქნებოდა, „კორინთიანსიდან" ფეხბურთელები ახლავე დაგვემატებინა, მაგრამ, როგორც გითხარით, ბრაზილიაში მხოლოდ ამ საქმისთვისაც არ ვყოფილვართ. ბრაზილიის ჩემპიონატი უკვე დაწყებულია და ახლა „კორინთიანსიდან" ფეხბურთელთა დამატებას მაინც ვერ მოვახერხებდით. რამდენიმე ფეხბურთელს კი დავადგით თვალი, მაგრამ ისინი ჭაბუკები არიან და „დინამოში" ჩამოსვლა მათთვის ჯერ ადრეა.

**— „დინამოში" ამჟამად რამდენიმე ფეხბურთელია გასინჯვაზე. ყველაზე ახლოს კონტრაქტთან რომელია?**

— ავსტრალიელ ზელიჩთან და სლოვაკ კრშკოსთან, შეიძლება ითქვას, შეთანხმებულები ვართ და რამე თუ არ შეიცვალა, მათთან კონტრაქტებს გავაფორმებთ. დანარჩენებს კი, მათ შორის, ბელარუს გარკუშასაც, მწვრთნელი კიდევ დააკვირდება და ამ შეკრების შემდეგ იტყვის, სჭირდება თუ არა.

**— სეზონის განახლებამდე „დინამოში" ახალ ფეხბურთელებს აღარ ველოდოთ?**

— „დინამოს" ერთი ბრაზილიელი ფორვარდი, საბიო გუშინ უკვე შეუერთდა. ის ადრე ჩინეთსა და ინდონეზიაში თამაშობდა, სწრაფი და ტექნიკური თავდამსხმელია, თუმცა, ცხადია, ბოლო სიტყვა დუშან უჰრინზეა.

**— ეს ფორვარდი ბრაზილიაში თქვენი ვიზიტის შემდეგ შეუერთდა „დინამოს"?**

— დიახ, მაგრამ ის „კორინთიანსიდან" არ არის. ერთ-ერთ მატჩს დავესწარით, ამ ფეხბურთელმა კი თავი კარგად წარმოაჩინა და მასთან მოლაპარაკება გადავწყვიტეთ.

**ბობა ინასარიძე**

# ერთი, ორი, სამი: ლომაია თითებზე ითვლის და აშვეთიას მიჰყვება



**საქართველოს** ნაკრების მეკარის, გიორგი ლომაიას გერმანიის მეორებუნდესლიგურ იენის „კარლ ცაისში" გადასვლას წინ მხოლოდ სამუშაო ვიზის არქონა უდგას — 31 იანვარს სატრანსფერო ფანჯარა იხურება და ყველაფერი ამ სამ დღეში უნდა მოესწროს.

როგორც თავად ლომაიამ გვითხრა, ამ მხრივ არანაირ შეფერხებას არ ელის და ფანჯრის დახურვამდე იენაში ჩასვლას მოასწრებს.

ამავე მიზეზის გამო საქართველოში იმყოფება მიხეილ აშვეთიაც, რომელმაც უკვე გააფორმა კონტრაქტი იენურ კლუბთან. ლომაიასვე თქმით, ისინი ერთად გაფრინდებიან გერმანიაში და შესაძლოა, 2 თებერვალს პირველივე მატჩში ითამაშონ — „კარლ ცაისი" „კიოლნს" ესტუმრება.

შეგახსენებთ, რომ „კარლ ცაისი" მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნის საშიშროების წინაშე დგას და გუნდის მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ვებერი ქართველი ფეხბურთელებით სწორედ იმ სუსტი წერტილების შევსებას ცდილობს, სადაც გუნდს ყველაზე მეტად უჭირს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კანკავას მეკარემ მოუგო

**ისევ** ვერ ჩაამთავრა თამაში დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" ქართველმა ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ, თუმცა ამ შემთხვევაში მას მოედანი წითელი ბარათის გამო არ დაუტოვებია — ოლეგ პროტასოვმა ქართველი 73-ე წუთზე შეცვალა, „დნიპრომ" კი 0:1 წააგო ავსტრიულ „ზალცბურგთან".

შეცვლამდე კანკავას ორჯერ შეეძლო გოლის გატანა — პირველად 18 მეტრიდან დარტყმული ბურთი ავსტრიელთა მეკარემ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია, მეორე შემთხვევაში კი კანკავა პირისპირ დარჩა მეკარესთან, მაგრამ ეს დუელიც მეკარის გამარჯვებით დასრულდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# თბილისის მსოფლიოს თასი

სპორტის სასახლე, 27-28 იანვარი

**60 კგ**
1 ჰიროაკი ჰიროაკა (იაპონია)
2 შამილ ნაში (რუსეთი)
3 დავით ასუმბანი (საქართველო)
3 ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი)

**66 კგ**
1 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)
2 კინტერ როტბერგი (ესტონეთი)
3 მინდია ხომიზური (საქართველო)
3 ტიმო ტორი (იაპონია)

**73 კგ**
1 მასატო ინაზავა (იაპონია)
2 სეზარ ჰუისუზი (თურქეთი)
3 მუსეიბ ჯაფაროვი (აზერბაიჯანი)
3 სირაგუდინ მაგომედოვი (რუსეთი)

**81 კგ**
1 გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
2 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)
3 საბა გავაშელიშვილი (საქართველო)
3 სერგეი ბალაბანი (უკრაინა)

**90 კგ**
1 იუტა იაზაკი (იაპონია)
2 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
3 ტენტორე მასმანიდისი (საბერძნეთი)
3 ალონ სასონი (ისრაელი)

**100 კგ**
1 ლევან ჟორჟოლიანი (საქართველო)
2 ტაკამასა ანაი (იაპონია)
3 გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო)
3 ნოდარ მეტრეველი (საქართველო)

**+100 კგ**
1 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)
2 ლევან რაზმაძე (საქართველო)
3 ადამ ოქრუაშვილი (საქართველო)
3 შინია კატაბუჩი (იაპონია)

# კმაყოფილების საბაბი

**სპორტის სასახლეში** თბილისური მსოფლიოს თასით ძიუდოს 2007 წლის საერთაშორისო სეზონი გაიხსნა. ტრადიციული ქართული ტურნირი ძველ პოპულარობას რომ იბრუნებს, სტუმრების რაოდენობამ და სიძლიერემაც დაადასტურა. საქართველოს ნაკრების ოთხ შემდაგენლობას თექვსმეტი ქვეყნის გუნდი დაემატა და ისეთი ბრძოლები გაჩაღდა, თბილისის ტურნირზე ბოლო წლებში რომ არ ყოფილა. ლამაზ ჭიდაობებზე არანაკლებ სასიამოვნო სანახავი ლამის ბოლომდე გადაჭედილი ტრიბუნები იყო. მაყურებლის მხარდაჭერით დამუხტულმა ქართველმა ძიუდოისტებმა ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და ექვსი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაშიც გვარიანი უპირატესობით მოიტოვეს უკან იაპონელები. აღარაფერს ვიტყვით ორი შემადგენლობით მოჭიდავე რუსებზე, რომლებმაც მხოლოდ თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს აღება მოახერხეს.

ორდღიანი შეჯიბრის პირველ დღეს საწყის სამ წონაში გათამაშდა მედლებიდა მოულოდნელად, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ ერთი ჩვენებური ავიდა. 2006 წლის საუკეთესო ქართველმა სპორტსმენმა, ევროპის ჩემპიონმა ზაზა კედელაშვილმა შარწანდელი თბილისური ვერცხლი ოქროში გადაცვალა. თან რაც მთავარია, ისე ძლიერად იჭიდავა, არც ერთი მეტოქისთვის უმცირესი შანსიც კი არ დაუტოვებია. კედელამ ჩემპიონობამდე ოთხი ბრძოლა მოიგო. ოთხივე ერთმანეთზე უკეთესი იპონით. გამორჩეული კი იაპონელი ტიმო ტორის დატრიალება იყო. ეს უკანასკნელი იქამდე მსგავსი ილეთებით თავად უსწორდებოდა მოწინააღმდეგეებს და ნეტავ გენახათ მისი გაოგნებული სახე, ზაზასთან შეხვედრის მეოთხე წუთზე. მავანმა უცხოელმა მწვრთნელმა კი ჩვენს გასაგონად ჩაილაპარაკა, ასეთ რამეს იაპონელებს მარტო ქართველები უკეთებთო.

იგივე სცენარით წარიმართა 100-კილოგრამიანთა ბრძოლებიც. ყველაზე შთამბეჭდავი აქაც ქართულ-იაპონური დაპირისპირება გამოდგა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ეს შეხვედრა ფინალში შედგა. თბილისის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი ტაკამასა ანაი და ბევრისთვის უცნობი ქართველი, 22 წლის ლევან ჟორჟოლიანი ოქროს ბრძოლამდე სულ იპონ-იპონ მივიდნენ. ფავორიტი რა თქმა უნდა ანაი იყო, რომელმაც კოკაც აილო და ჩვენებურის შეტევებს სახიფათო კონტრშეტევებითაც პასუხობდა. საფინალო სირენამდე წუთნახევრით ადრე კი ჟორჟოლიანმა ისეთი გდება შეასრულა, ლამის დარბაზი დაინგრა. ქართულ კისრულს და ანაის ბეჭებზე დაცემას ფეხზე ბელგიელი ოლიმპიური ჩემპიონი რობერ ვან დერ ვალეც წამოუდგა. რამდენიმე წუთში ლევანი მანვე დააჯილდოვა.

მოგვიანებით ჟორჟოლიანი ტურნირის პერსპექტიულ ახალგაზრდად დაასახელეს. კედელაშვილი კი ყველაზე ტექნიკური ძიუდოისტი გახდა.

უსაჩუქროდ არც თავად ვან დერ ვალე დარჩენილა. მას ძველმა მეტოქემ, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა თემურ ხუბულურმა თეთრი ნაბადი უსახსოვრა. ნაბდითვე დასაჩუქრდა ევროპის ძიუდოს კავშირის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელი ალბერტ ბუზბახერი. ქართველი სპორტსმენებისთვის მრავალგზის გაწეული დახმარებისთვის იგი საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ კახაბრიშვილმა და ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონმა კლასიკური სტილის მოჭიდავე ლადო გეგეშიძემ დააჯილდოვეს.

81 და +100 კილოგრამის ფინალებში სანერვიულო ყველაზე ნაკლებად გვქონდა. პირველ ადგილს რომ ვერავინ შეგვეცილებოდა, ნახევარფინალებში გაირკვა. ოქროს მედლებისთვის ერთმანეთს ქართველები ეჭიდებოდნენ. პირველში გრიგოლ მამრიკიშვილმა გიორგი ბაინდურაშვილს აჯობა და შარშანდელი ჩემპიონობაც შეინარჩუნა, ხოლო მძიმეში ზვიად ხანჯალიაშვილმა ლევან რაზმაძეს სძლია. აქვე აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ორივე პირველადგილოსანმა სულ წმინდა გამარჯვებებით უწია კვარცხლბეკს. გამონაკლისი მხოლოდ მამრიკიშვილის ნახევარფინალი იყო უკრაინელ სერგეი ბალაბანთან — ჩვენებურმა გაფრთხილებით მოიგო.

ბოლოს რამდენიმე იმედგაცრუებაზეც ვთქვათ. 90 კილოგრამის ფინალში ირაკლი ცირეკიძეს ოქრომდე 17 წამი დააკლდა. იაპონელ იუტა იაზაკისთან ამ დრომდე შიდოთი იგებდა, მაგრამ წამიერი მოდუნება წამგებიან ვაზარად დაუჯდა. ამავე წონაში უფრო დიდი იმედგაცრუება მეორე წრეში ვიწვნიეთ, როცა იმავ იაზაკიმ ზურაბ ზვიადაური შებოჭვაზე დაიჭირა. ოლიმპიურ ჩემპიონს ბრინჯაოს შანსი კი შერჩა, მაგრამ რეპეშაჟში საჭიდაოდ აღარ გასულა. უმედლოდ დარჩა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი სამბისტი მინდია ბოდაველიც. ჯერ ებრაელ ალონ სასონთან წააგო, მერე კი საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტენტორეს მასმანიდისთან, იგივე თედო აბელაშვილთან.

კვარცხლბეკს მიღმა დარჩნენ ოლიმპიური ვიცეჩემპიონი ნესტორ ხერგიანი (60კგ) და მსოფლიოს პრიზიორი ლაშა გუჯეჯიანიც (+100კგ). 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში კი დავით ქევხიშვილის არყოფნაში კვარცხლბეკზე ვერც ერთი ქართველი ვერ ავიდა.

დაბოლოს, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ***შოთა ხაბარელის*** მიერ ნატურნირევს გაკეთებული კომენტარი:

— საერთო შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ორ-სამ ოქროს მედალს ვგეგმავდი და ოთხი მოვიპოვეთ. ამასთან, ორ წონაში სულაც ქართული ფინალები შედგა. რა თქმა უნდა იყო მოულოდნელობებიც, რომლებმაც გული დაგვწყვიტა. წააგეს ნაკრების ტიტულიანმა წევრებმა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანს ჩამოვწერთ და თავისი რეალური ძალის დამტკიცების შანსს აღარ მივცემთ. ზვიადაურს, ხერგიანს და გუჯეჯიანს ევროპის ჩემპიონატამდე საერთაშორისო ტურნირებზე კიდევ გამოვცდით. ყველაზე დიდი სიურპრიზი ლევან ჟორჟოლიანის ჩემპიონობაა. ამ ბიჭის შესაძლებლობები კარგად ვიცი და მასზე მედალსაც ვგეგმავდი, მაგრამ ოქროს თუ მოიგებდა და თან ასეთი შთამბეჭდავი ჭიდაობით, არ მეგონა. მოკლედ, სეზონის პირველი ტურნირის შემდეგ კმაყოფილების საბაბი ნამდვილად არსებობს. ნაკრებში ყველა წონაში სერიოზული კონკურენციაა. საუკეთესოები კი უახლოეს საერთაშორისო ტურნირებზე გამოიკვეთებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ზაზა კედელაშვილის ოქროს გდება



*ქართველებს ძიუდოში ტიტულიანი ხალხი არ გვაკლია, მაგრამ ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი მხოლოდ ერთი გვყავს — თემურ ხუბულური. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები ძიუდოში საერთოდაც არ არიან ბევრნი და ხუბულურს შეეძლო, ამ ტიტულებისთვის ოლიმპიური ჩემპიონის წოდებაც დაემატებინა.*

*1980 წელს, მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ფინალში ქართველი ძიუდოისტი ბელგიელ რობერ ვან დერ ვალესთან დამარცხდა. ხუბულური და ვან დერ ვალე ერთმანეთს ათჯერ თუ თერთმეტჯერ შეხვდნენ ტატამზე და ერთის გარდა ყველა ორთაბრძოლა ქართველმა მოიგო. ის ერთადერთი გამონაკლისი მაინცდამაინც ოლიმპიადის ფინალში მოხდა.*

*დღეს რობერ ვან დერ ვალე თბილისის და თემურ ხუბულურის სტუმარია*

# მეორედ მოსული კაცი

## ვან დერ ვალეს მთავარი რესპონდენტი თემურ ხუბულურია

— კეთილი იყოს თქვენი თბილისში სტუმრობა, თუმც ვიცით, პირველად არ ბრძანდებით აქ...

— თბილისში მეორედ ვარ და ძალიან მოხარულიც გახლავართ. საქართველო ჩემთვის ყოველთვის იყო ძიუდოს სამაგალითო ქვეყანა და აქ ყოფნა დიდ კმაყოფილებას მანიჭებს.

**— პირველ სტუმრობას როგორ გაიხსენებდით?**

— ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო. მაშინ ჩემი სპორტული კარიერის პიკში ვიყავი და თბილისის ტურნირზე საჭიდაოდ ჩამოვედი. ეს 30 წლის წინ იყო, თუმც ყველაფერი კარგად მახსოვს. ზუსტად ამ დარბაზში, გადაჭედილი ტრიბუნების წინაშე ძალიან საინტერესო ტურნირი ჩატარდა და ჩემს წონაში ფინალში წავაგე. სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ ჩემს მაშინდელ მეტოქეს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ოქრო დაძაბულ ბრძოლაში დავთმე რომელიღაც ქართველთან.

**— თბილისური ტურნირის საფინალო მეტოქეს ვერ იხსენებთ, მაგრამ ალბათ კარგად გახსოვთ თემურ ხუბულური, რომელსაც თქვენ ოლიმპიური ოქრო აართვით...**

— თემური? თქვენ რომც არ გეკითხათ, მე მას აუცილებლად ვახსენებდი, რადგან ჩემი ყველაზე დიდი კონკურენტი და ამასთან ერთად ყველაზე საყვარელი სპორტული მეგობარი სწორედ თემურ ხუბულურია. ჩემი უმთავრესი სპორტული მიღწევა მასთან ჭიდაობაში მოვიპოვე. ოლიმპიურ ოქროს, დამეთანხმებით, არაფერი შეედრება და მოსკოვში ეს ტიტული ხუბულურს მოვუგე.

**— ხუბულურთან სხვა ორთაბრძოლებზე რას იტყვით?**

— რა უნდა ვთქვა, თითქმის ყველა ბრძოლა თემურმა მომიგო. ის ძალიან ძლიერი ძიუდოისტი და ამასთან ერთად შესანიშნავი პიროვნება იყო. ხუბულური დღემდე ასეთია, მე მასთან ძალიან ახლოს ვმეგობრობ და ახლა ჩემი მასპინძელიც სწორედ ისაა. ჩვენ ერთმანეთს ყოველ წელს რამდენჯერმე ვხვდებით სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებზე. რა თქმა უნდა, დღეს უფრო დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, ვიდრე მაშინ, როცა ერთმანეთს ტატამზე ვერკინებოდით. საჭიდაო ხალიჩაზე, შესაძლოა, ერთმანეთი მოგვეკლა, მაგრამ ტატამს გარეთ მეგობრები ვიყავით.

**— თბილისში ამჯერად რა მისიით ჩამოხვედით?**

— წლეულს 53 წლის ვხდები და ეს თარიღი საიუბილეო არ გახლავთ, მაგრამ ბელგიაში ჩემს შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებენ. გადამღები ჯგუფი დამყვება ყველგან, რასთანაც ჩემი სპორტული კარიერაა დაკავშირებული. ჩემი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, რომ გადაღებები თბილისშიც მომხდარიყო. აქ ძიუდოს სხვა სული ტრიალებს. სპორტის ამ სახეობის განვითარებაში ქართველებს დიდი წვლილი მიუძღვით და მინდოდა, ფილმში ეს კარგად გამოჩენილიყო. ამიტომაც ჩამოვედი საქართველოში და ფილმში არაერთი ქართველის ინტერვიუ მოხვდება. რა თქმა უნდა, თემურ ხუბულური იქნება მთავარი რესპოდენტი, ასევე თქვენი დიდი ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ჩოჩიშვილი.

**— დღესდღეობით რა გაკავშირებთ ძიუდოსთან?**

— სამსახურეობრივად არაფერია, ისე კი, ძიუდო ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მე საკუთარი ბიზნესი მაქვს, რომელიც სპორტთან არაა კავშირში. მე იმ სამსახურში ვმუშაობ, რომელიც ბიზნესპარტნიორობის განვითარების პრინციპებს ამუშავებს და სრულყოფს.

**— დიდ განსხვავებას ხედავთ ძველი და ახალი დროის ძიუდოში?**

— რა თქმა უნდა, სხვაობა დიდია. დონე ამაღლდა და ეს იმ მიმდინარეობების შერწყმის საფუძველზე მოხდა, რომლებსაც იაპონური და ქართულ-რუსული ჰქვია. იაპონური უფრო ტექნიკური სტილია, ხოლო ქართველები შედარებით ათლეტურ, ძალისმიერ ჭიდაობას მისდევდნენ. ეს ადრე იყო, ახლა დიფერენციაცია მხოლოდ პირობითია.

**— თქვენი ქვეყნის გუნდი რატომ არ ჩამოვიდა თბილისში?**

— ბელგიაში ახლა დიდი კრიზისია. ქალთა ძიუდოს არა უშავს, თუმცა კაცებში გვიჭირს და მომავალი თაობის იმედად ვართ.

**— თქვენი აზრით, ვინ იყვნენ მსოფლიოს ძიუდოს საუკეთესო წარმომადგენლები?**

— პირველ რიგში იაპონელი იასუხირო იამასიტა. არანაკლებ დიდი ძიუდოისტები იყვნენ ფრანგი ჟან-ლუკ რუჟე, ჰოლანდიელი ვიმ რიუსკა და თქვენი თანამემამულეები — შოთა ჩოჩიშვილი და თემურ ხუბულური.

**ირაკლი პერტაია**



# საქართველოს თასი

## თბილისი. ვერის ბაღი. 26-29 იანვარი

# თსუ-მ მსაჯი განსაჯა და დაისაჯა

## თასს ავიამშენი და აზოტი გაარჩევენ

**26 იანვარი**

**თსუ 78:91 აზოტი**

*26:25 20:28 14:11 18:27*

თსუ: ვეფხვაძე (10), ბ. ბერიშვილი (13), ლეჟავა (6), შანიძე (11), მათიაშვილი (11); არწივიძე (9), იმნაძე (10), მ. ბერიშვილი (8), ფანჩულიძე
აზოტი: გამყრელიძე (25), ტულუში (21), ბოისა (2), ბეჟანიშვილი (11), უგრეხელიძე (10); გოგობერიშვილი (16), ბერძენიშვილი (3), დიდია, მარკოიშვილი (3), ტუჯანი
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**ავიამშენი 93:72 თსუ**

*17:16 21:23 24:17 31:16*

ავიამშენი: დ. ბერიშვილი (7), ბაბიშვილი (30), ნიკოლაძე (8), ი. ბერიშვილი (15), კეიდია (5), ნინიაშვილი (15), როდუმტა (9), ბარბაქაძე (4), მოსეშვილი
თსუ: ბერაია (16), ბაბუნაშვილი (4), კოხრეიძე (7), ძიძიგური (11), ფოლადაშვილი (3), მაისურაძე (14), დევიძე (2), ბარბაქაძე (9), ლ. ნოზაძე (6)
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**27 იანვარი**

**აზოტი 79:62 დინამო**

*17:18 15:13 27:14 20:17*

აზოტი: გამყრელიძე (3), ბეჟანიშვილი (8), კიდია (5), ცეკვავა (7), ტულუში (9), მარკოიშვილი (21), უგრეხელიძე (10), ჭოჭუა (8), ბერძენიშვილი (4), მინაშვილი (4)
დინამო: გულისაბედაშვილი (9), ბადრიძე (8), წერეთელი (3), ბოლქვაძე (3), კეშელავა (29), მურჯიკნელი (4), გაბაშვილი (2), კოლუაშვილი (4)
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: როლანდ გელოვანი*

**მაკაბი 117:100 სტუ**

*31:28 33:20 21:22 32:31*

მაკაბი: დოლიძე (6), ვაშაკიძე (11), კორკოტაძე (13), ს. შერმადინი (7), გ. შერმადინი (76), პირველაშვილი (4), ბარსეგიანი
სტუ: ეძგვერაძე (15), ბერაია (24), კოხრეიძე (9), ძიძიგური (7), ფოლადაშვილი (3), მაისურაძე (19), დევიძე (18), ბარბაქაძე (5)
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: მურმან ქურიძე*

**თასის** გათამაშების ჯგუფურმა ეტაპმა ტურით ადრე დაკარგა აზრი — ფინალისტები შაბათს გაირკვნენ და საკვირაო მატჩებს ფორმალური ხასიათიღა ჰქონდა.

თბილისის „ავიამშენს“ შაბათს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან მხოლოდ პირველ ტაიმში გაუჭირდა, თუმც საბოლოოდ მაინც იოლად გაიმარჯვა და შარშანდელის დარად წლეულსაც ფინალში ითამაშებს. თუკი „ავიატორთა“ ფინალისტობა სუსტი ჯგუფიდან გამომდინარე წინდაწინ იყო ცნობილი, მისი მეტოქე „აზოტისა“ და თსუ-ს ორთაბრძოლაში უნდა გამოვლენილიყო. სიმართლე ითქვას, არც ეს წყვილი იყო ტოლძალოვანი, მაგრამ „აზოტის“ მომგები თუკი ვინმეა საქართველოში, მხოლოდ თსუ და „ავიამშენი“, თუმცა ამ სეზონში ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა.

თსუ-მ ერთი კვირის წინ წააგო „აზოტთან“ ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში და სანამ ამათი გუშინწინდელი მატჩი დაიწყებოდა, სტუდენტების შტაბში უკვე იგრძნობოდა მსაჯების მიმართ უკმაყოფილება. წინა მატჩში მოგებასთან ახლო ვიყავით და არბიტრებმა ამის საშუალება არ მოგვცესო.

ეს ამბავი იმიტომ გავიხსენეთ, რომ თამაშის დამთავრების შემდეგ თსუ-ს ბანაკმა მსაჯთა მიმართ დიდი უკმაყოფილება გამოთქვა. სტუდენტების გულისწყრომა ძირითად ზაზა მაჩალაძის მიმართ იყო მიმართული, რომელმაც, თსუ-ელთა აზრით, სტუდენტები უსამართლოდ არაერთხელ დააჯარიმა. ის კი არა, უნივერსიტეტელთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა ერთი პირობა სათადარიგო სკამის დატოვებაც დააპირა, ისე ალაშფოთა მაჩალაძის მართლაც და საეჭვო სასტვენებმა. მსაჯის შეურაცხყოფისა და მოედანზე კინკლაობის გამო თსუ-მ თამაშის მიწურულს მაჩალაძისგან ერთბაშად 3 ტექნიკური ჯარიმა დაიმსახურა და გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაცხადაა. მაგრამ არ იფიქროთ, რომ სწორედ ეს მომენტი იყო მთავარი და მანამდე „აზოტს“ წაგება ემუქრებოდა. არამც და არამც — რუსთაველები, თუ არ ჩავთვლით საპირველტაიმო 5-წუთიან მონაკვეთს, თითქმის ყველაფერში ჯაბნიდნენ მეტოქეს და ლიდერობასაც არ უშვებდნენ ხელიდან.

მთავარი, რაშიც „აზოტი“ ჯაბნიდა თსუ-ს, თამაშის ორგანიზება გახლდათ. ქვემოქართლელთა შეტევები გაცილებით გააზრებული და შესაბამისად ეფექტური იყო, ხოლო სტუდენტებს დიდი წვალებით მიჰქონდათ ბურთი მეტოქის ფარამდე.

თსუ-ს მაშინ ულხინდა, როცა შორი სროლები წაუვიდა. „აზოტი“ ის გუნდია, პერიმეტრის გასაკონტროლებელი დაცვით კომბინაციებს აუცილებლად რომ გამოძებნის, მაგრამ სტუდენტებმა გვარიანი სიურპრიზი შესთავაზეს მეტოქეს. დავით იმნაძემ, თსუ-ს 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა, მიჯრით 3 სამქულიანი ჩააგდო და მეორე მეოთხედში თბილისელები 43:44 დაწინაურდნენ.

მესამე მეოთხედის ბოლოსკენ დავით იმნაძემ მე-5 პერსონალური მიიღო, ხოლო ეულად დარჩენილ რიჩარდ მათიაშვილს ფარქვეშ ფრთები შეუკვეცეს და „აზოტიც“ იოლად მივიდა გამარჯვებამდე.

კვირის მატჩებს, როგორც ვთქვით ოდენ ფიქტიური მნიშვნელობა ჰქონდა და სატურნირო მდგომარეობას არ ცვლიდა. ჰოდა, სწორედ გუშინ მოხდა დიდად ხმაურიანი ამბავი. „მაკაბიმ“ სტუ-ს რომ მოუგო, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, თუმც ამ მატჩში ქართული კალათბურთის ისტორიული მოვლენა გამოცხვა — მაკაბელმა გიორგი შერმადინმა 76(!) ქულა მიითვალა, ასეთი რამ კი ჩვენს კალათბურთის არ ახსოვს.

დაახლოებით ათი წლის წინ დინამოელმა დავით ჩიქოვანმა დააგროვა 74 ქულა საქართველოს ჩემპიონატში და მაშინ მან 21 სამქულიანი ჩააგდო. რეკორდი გუშინ გაუმჯობესდა და მისი დამამყარებელი „მაკაბის“ 216-სანტიმეტრიანი სუპერმექულე გიორგი შერმადინია.

მაშ ასე — დღეს 15 საათზე ვერის ბაღში თასის მფლობელი გამოვლინდება: „ავიამშენი“ — „აზოტის“ წინააღმდეგ.

**ირაკლი პერტაია**



ლაშა გამყრელიძემ „აზოტს“ ულიდერა

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამოუცნობი ფინX




ზაზა ფაჩულიამ ორ თამაშში 15 მოხსნა მიითვალა

**მაიკ ვუდსონმა**, ეტყობა, საბოლოოდ სათადარიგოდ დატოვა ჩვენებური ზაზა ფუჩულია და სუბიექტურობაში ნუ ჩამოგვართმევთ თუ ვიტყვით, რომ ძალიანაც შეეშალა. ზაზას სათამაშო დროსთან ერთად ქულებიც დაუცოტავდა და გუნდისთვის აშკარად ნაკლები სარგებელი მოაქვს, ხოლო მის ნაცვლად დამწყებ ხუთეულში აღზევებულ ბეხრეკ ლორენცენ რაიტს 5 ქულის გაკეთებაც კი შეუძლებელ ამოცანასავით უჩანს.

ამ უქ ეებზე „ატლანტამ“ ორი მატჩი გამართა და ორი მეტოქიდან ძლიერს მოუგო, სუსტთან კი დათმო. წესით და საკალათბურთო კანონებით „ქორებს“ „ორლანდოსთანაც“ უნდა წაეგოთ, პირველი ტაიმის შემდეგ 14 ქულითაც ჩამორჩებოდნენ, მაგრამ „ჰოქსის“ ყოჩმა ჯო ჯონსონმა თამაში საკუთარ თავზე აიღო და პირადად შემოაბრუნა ბრძოლის ჩარხი. ჯონსონმა მეორე ტაიმში თამაშიდან 12-ჯერ ესროლა და 8 ჩააგდო, ხოლო 10 საჯარიმოდან 9 გამოიყენა და დიდი შესვენების შემდეგ 26 ქულა გაახერხა. მისი მაგალითით გამხნევებულმა სხვა სტუმრებმაც ხელი გამოიღეს და „ატლანტამ“ მესამე მეოთხედში 29:18 იძალა, მეოთხეში კი 23:17 მოამთავრა საქმე.

ჯონსონს სულ 39 ქულა გამოუვიდა, რაც მისთვის სეზონის რეკორდი გახლავთ. მართალია, „ატლანტას“ ლიდერი ხალხმა არ აირჩია ოლ სტარის აღმოსავლეთის ვარსკვლავგუნდის სასტარტო ხუთეულში, მაგრამ მას იმედი აქვს, რომ მწვრთნელები მაინც დაასახელებენ 7 სათადარიგოს შორის და თავის პირველ ვარსკვლავურ მატჩშიც გაინავარდებს.

ეს კარგი, მაგრამ ჯონსონს ორლანდოში გამარჯვებიდან 24 საათში, უკვე საკუთარ კედლებში და გაცილებით სუსტ „ფილადელფიასთან“ აღარა გამოუვიდა რა — 16 სროლიდან 10 აცილება და საბოლოოდ მხოლოდ 16 ქულა. ამ „ფილადელფიამ“ წინა დღით შინ „კლივლენდთან“ დათმო, მიუხედავად იმისა, რომ გამთამაშებელმა ანდრე მილერმა სამმაგი დუბლი მიაშველა, ხოლო მოწინააღმდეგეებს ლიდერთ ლიდერი ლებრონ ჯეიმსი აკლდათ.

შეუძლებელი შეძლო „ფინიქს სანზმა“. ეს გუნდი საკუთარ თავს, შედეგს, ისტორიას გადაახტა. თავისთავად „მილუოკის“ თუნდაც მილუოკიში ძლევა გმირობის ტოლფას ძალისხმევას არ ითხოვს, მით უფრო, რომ ისედაც ამ საშუალოზე საშუალო გუნდს ლიდერი მაიკლ რედი აკლია და მანამდეც ზედიზედ 5 თამაში წაეგო. მაგრამ „ფინიქსის“ გმირობა სულ სხვაა. საქმე ის გახლავთ, რომ „სანზმა“ ზედიზედ მე-16 თამაში მოიგო და ერთით გააუმჯობესა 41 წლის წინ დამყარებული და ორი თვის წინ გამეორებული შიდასაკლუბო რეკორდი. ზედიზედ 16 და მეტი თამაში ბარე ცხრა გუნდს მოუგია, მაგრამ ყველა ძველ დროებაში ყოჩაღობდა. 2000 წელს „ლეიკერსმა“ ერთმანეთს 19 მოგება რომ ჩაუბა, მას შემდეგ ასეთი რამ არ მომხდარიყო.

და მაინც: გუნდის ლიდერი, სული, გული და ყველაფერი, სტივ ნეში მაინც არ ჩანდა კმაყოფილი — „რეგულარულში ზედიზედ მოგებებში საჩემპიონო ბეჭდებს არ იძლევიან. ამ საღამოს თამაშის რიტმიდან ამოვარდნილები ვიყავით და თუ მართლა გვსურს ღირებულ წარმატებას მივაღწიოთ, თავს ასე მოშვების ნება აღარ უნდა მივცეთ.“

ბუზღუნებდა „ფინიქსის“ თავკაცი მაიკ დანტონიც, რომელსაც წინა დღით გუნდი დაუთხოვია — წადით, დაისვენეთ, თქვენ ეს დაიმსახურეთო. მოთამაშეები თურმე მთელი საღამო ქალაქ მილუოკის ქუჩებში დაყიალობდნენ და როდისროდის დაბრუნდნენ სასტუმროში. ასე აღარ მივქარავ, ამ უაზრო ხეტიალს კარგი არაფერი მოუტანია, დასვენების ნაცვლად ბიჭები უფრო დაღლილები დაბრუნდნენ, ამას სჯობდა, დარბაზში ცოტა წაგვევარჯიშაო — ჩიოდა დანტონი.

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, „ფინიქსმა“ მაინც მოიგო და „დალასთან“ ჭიდილში დასავლეთის ლიდერის ტახტი შეინარჩუნა. თავად „დალასმა“ კი უცნაურ „საკრამენტოსთან“ უდაძაბულეს ჯახში იმარჯვა და „ფინიქსის“ წაფორხილებაზეა ჩასაფრებული.

ამ ორი გუნდის დონეს ვერ შესწვდება „დენვერ ნაგიტსი“, ყოველ შემთხვევაში, წლეულს მაინც. კარმელო ენტონის და ალენ აივერსონის თანაცხოვრების პირველი ორი თამაში წარმატებული გამოდგა, შემდეგი ორი კი „დენვერმა“ დათმო და მისი სუპერგუნდობის მითიც დაინგრა. სოლტ ლეიკ სიტიში იქაურ „იუტა ჯაზთან“ ენტონიმ 37 ქულა გააკეთა, აივერსონმა 33. ამ ორს და კიდევ მარკუს კემბის ჯამში 91 ქულა მოუგროვდათ, მაგრამ რად გინდა, დანარჩენი შვიდი მოთამაშე ჯამში 5 ქულას ვერ ასცდა და გამარჯვებაც „იუტას“ შერჩა. მეორე დღეს, შაბათს კი „დენვერმა“ „ნიუ ჯერსის“ ვერ აჯობა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მეოთხედი 31:20 მოუგო. აივერსონ-ენტონიმ ერთობლივი მონაგარი წინა დღესთან შედარებით 30 ქულით, 40 ქულამდე შეამცირეს.

სხვა თამაშებიდან გამოსარჩევია ჩემპიონი „მაიამის“ კიდევ ერთი ძლევა და „მემფის“—„პორტლენდის“ ორმაგოვერტაიმიანი კვეთება. „მაიამის“ უხეირო „ნიუ იორკმაც“ კი გაჰკრა კბილი, რომლის ერთმა არცთუ გამორჩეულმა მოთამაშემ ჯამაალ კროუფორდმა 52 ქულა აძგერა „მაიამის“.

პორტლენდელმა ზაკ რენდოლფმა კი 46 წუთში 42 ქულა ჩაუგდო „მემფისს“, რომლის ერთბაშად ოთხმა მოთამაშემ გააკეთა 20 და მეტი ქულა, მაგრამ რენდოლფის 42-მა ყველაფერი გადაწონა.

**კოტე ყორშია**

### 26 იანვარი

**ორლანდო 90:93 ატლანტა**
ორლანდო: ნელსონი (14), თურქოღლუ (12), ჰილი (10), ბათი (14), ჰოვარდი (19); მილიჩიჩი (8), აროიო (7), ბოგანსი (6), რედიკი
ატლანტა: ლუ (7), ჯონსონი (39), მ. უილიამსი (2), სმიტი (24 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი (2); ჩილდრესი (12), ფაჩულია (22 წუთი, 6 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა), ჯონსი (1), შ. უილიამსი, სტუდემაიერი, მედვედენკო, აივი

**მილუოკი 90:98 ფინიქსი**
მილუოკი: ბელი (21), ბოაკინსი (18)
ფინიქსი: ბელი (27), სტუდემაიერი (21), ნეში (18 ქულა, 16 პასი), მერიონი (11 ქულა, 23 მოხსნა)

**ფილადელფია 97:105 კლივლენდი**
ფილადელფია: იგუდალა (22), სმიტი (15), მილერი (12 ქულა, 13 პასი, 12 მოხსნა)
კლივლენდი: გუდენი (21 ქულა, 10 მოხსნა), მარშალი (17), ჰიუზი (16)

**იუტა 116:111 დენვერი**
იუტა: ბუზერი (25 ქულა, 19 მოხსნა), უილიამსი (16 ქულა, 13 პასი), ოქური (14)
დენვერი: ენტონი (37), აივერსონი (33), კემბი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**სიეტლი 102:100 მინესოტა**
სიეტლი: ალენი (36), გელაბალე (17), უილკოქსი (15 ქულა, 10 მოხსნა)
მინესოტა: სმიტი (26), გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

**ნიუ იორკი 116:96 მაიამი**
ნიუ იორკი: კროუფორდი (52)
მაიამი: ვეიდი (37)

**ლეიკერსი 97:106 შარლოტი**
*ძირითადი დრო 91:91*
ლეიკერსი: ბრაიანტი (32), ოდომი (12), ბინამი (11 ქულა, 16 მოხსნა, 7 დაფარება)
შარლოტი: კეროლი (24), ოკაფორი (20 ქულა, 18 მოხსნა, 5 დაფარება)

**დეტროიტი 96:99 ვაშინგტონი**
დეტროიტი: ჰამილტონი (27), ბილაფსი (17), მაკდაიერი (15), ვოლესი (14)
ვაშინგტონი: ჯემისონი (35), არენასი (25 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა)

**ტორონტო 96:90 ბოსტონი**
ტორონტო: ბოში (26), პარკერი (23)
ბოსტონი: ჯეფერსონი (20 ქულა, 10 მოხსნა), რეი (17), ვესტი (15)

**სან ანტონიო 112:96 მემფისი**
სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 13 მოხსნა, 9 დაფარება), პარკერი (18), ჯინობილი (17)
მემფისი: უორიკი (27), ჯონსი (17)

**ნიუ ორლეანი 88:84 საკრამენტო**
ნიუ ორლეანი: მეისონი (24), ჯექსონი (17)
საკრამენტო: ბიბი (21), მარტინი (21)

**ჰიუსტონი 99:69 პორტლენდი**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28), ბეტიე (15)
პორტლენდი: რენდოლფი (13)

### 27 იანვარი

**ატლანტა 89:104 ფილადელფია**
ატლანტა: ლუ (7), ჯონსონი (16), მ. უილიამსი (18), სმიტი (21 ქულა, 10 მოხსნა), რაიტი (2); ჩილდრესი (11), ფაჩულია (25 წუთი, 7 ქულა, 9 მოხსნა, 1 ჩაჭრა), შ. უილიამსი (4), სტუდემაიერი (3), აივი, ჯონსი
ფილადელფია: მილერი (19), იგუდალა (24), კერნი (3), ჰანტერი (15), დალემბერტი (19 ქულა, 10 მოხსნა, 7 დაფარება); კორვერი (11), სმიტი (7), უილიამსი (3), გრინი (3), ჯონსი

**გოლდენ სტეიტი 131:105 შარლოტი**
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (28), დევისი (17 ქულა, 10 პასი), ჯექსონი (17)
შარლოტი: მორისონი (21), ვოლესი (19), ჰერმანი (18)

**კლიპერსი 87:101 მინესოტა**
კლიპერსი: ბრენდი (25 ქულა, 12 მოხსნა), მაგეტი (19)
მინესოტა: გარნეტი (32 ქულა, 9 მოხსნა, 7 ჩაჭრა)

**ინდიანა 102:84 ტორონტო**
ინდიანა: ონილი (21), გრეინჯერი (18)
ტორონტო: ბოში (26 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 100:97 მაიამი**
ჩიკაგო: გორდონი (34), ჰაინრიხი (26), დენგი (12 ქულა, 14 მოხსნა)
მაიამი: ვეიდი (24 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), პოუზი (17)

**ნიუ ორლეანი 94:83 იუტა**
ნიუ ორლეანი: ჯექსონი (21), მეისონი (20)
იუტა: უილიამსი (27), ფიშერი (15)

**დალასი 106:104 საკრამენტო**
დალასი: ნოვიცკი (32 ქულა, 11 მოხსნა), ტერი (18), სტეკჰაუსი (16)
საკრამენტო: არტესტი (25), მარტინი (21), უილიამსონი (20)

**დენვერი 102:112 ნიუ ჯერსი**
დენვერი: სმიტი (24), ენტონი (22), აივერსონი (18)
ნიუ ჯერსი: კარტერი (40), ნახბარი (22), კიდი (18 ქულა, 12 პასი)

**მემფისი 132:135 პორტლენდი**
*ძირითადი დრო 111:111*
მემფისი: მილერი (28), გასოლი (24 ქულა, 14 მოხსნა, 6 დაფარება), ეტკინსი (23), უორიკი (20)
პორტლენდი: რენდოლფი (42 ქულა, 12 მოხსნა), უდოკა (21), როი (16)




„კლიპერსი“ და „მინესოტა“ ერთმანეთში აიხილნენ

ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი. 15–28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როჯერ 10
# სერენამ მაშაზე გაისეირნა



AFP



## როჯერ ფედერერი

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია). შვეიცარიის მოქალაქე. ცხოვრობს ბოტმინგენში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ. წონა 81 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. კარიერის მანძილზე ჩატარებული 615 მატჩიდან 490 მოიგო და 125 წააგო. მოპოვებული აქვს ერთეულთა 46 (მათ შორის 10 დიდი სლემის: ავსტრალია — 2004, 2006-07; უიმბლდონი — 2003-06; აშშ — 2004-06) და წყვილთა 7 ტიტული. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 29,6 მილიონი ამერიკული დოლარი. მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ATP-ის რეიტინგის სათავეში პირველად 2004 წლის 2 თებერვალს მოექცა.

### ფედერერი Australian Open-2007-ზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | ფედერერი — ბიორნ ფაუ (გერმანია) | 7:5 6:0 6:4 |
| მეორე წრე | ფედერერი — იონას ბიორკმანი (შვედეთი) | 6:2 6:3 6:2 |
| მესამე წრე | ფედერერი — მიხაილ იუჟნი (25, რუსეთი) | 6:3 6:3 7:6 |
| მეოთხე წრე | ფედერერი — ნოვაკ ჯოკოვიჩი (14, სერბეთი) | 6:2 7:5 6:3 |
| მეოთხედფინალი | ფედერერი — ტომი რობრედო (7, ესპანეთი) | 6:3 7:6 7:5 |
| ნახევარფინალი | ფედერერი — ენდი როდიკი (6, აშშ) | 6:4 6:0 6:2 |
| ფინალი | ფედერერი — ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) | 7:6 6:4 6:4 |

## სერენა უილიამსი

დაიბადა 1981 წლის 26 სექტემბერს საგინაუში (აშშ, მიჩიგანის შტატი). ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. ცხოვრობს პალმ ბიჩში (ფლორიდის შტატი). სიმაღლე 178 სმ. წონა 69 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. კარიერის მანძილზე ჩატარებული 384 მატჩიდან 320 მოიგო და 64 წააგო. მოპოვებული აქვს ერთეულთა 27 (მათ შორის 8 დიდ სლემის: ავსტრალია — 2003, 2005, 2007; როლან გარო — 2002; უიმბლდონი — 2002-03; აშშ — 1999, 2002) და წყვილთა 11 ტიტული. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 17 მილიონი ამერიკული დოლარი. 2002 წლის 8 ივლისს პირველად გახდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი. წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე WTA-ს რეიტინგში 81-ე ადგილი ეჭირა.

### უილიამსი Australian Open-2007-ზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | უილიამსი — მარა სანტანჯელო (27, იტალია) | 6:2 6:1 |
| მეორე წრე | უილიამსი — ანი კრემერი (ლუქსემბურგი) | 7:6 6:2 |
| მესამე წრე | უილიამსი — ნადეჟდა პეტროვა (5, რუსეთი) | 1:6 7:5 6:3 |
| მეოთხე წრე | უილიამსი — ელენა იანკოვიჩი (11, სერბეთი) | 6:3 6:2 |
| მეოთხედფინალი | უილიამსი — შაჰარ პირი (16, ისრაელი) | 3:6 6:2 8:6 |
| ნახევარფინალი | უილიამსი — ნიკოლ ვაიდიშოვა (10 ჩეხეთი) | 7:6 6:4 |
| ფინალი | უილიამსი — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) | 6:1 6:2 |

**ზედიზედ** მეორე წელია, როჯერ ფედერერს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გულშემატკივართა ფავორიტის დამარცხება უწევს — შარშან ოზებს თავი მარკოს ბაღდატისმა შეაყვარა, წლეულს კი თავისი შემტევი ჩოგბურთით ფანების გული ფერნანდო გონსალესმა მოიგო. ჩილელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არც გუშინ უღალატა თავის ტაქტიკას და კიდევ ერთი დიდებული შეხვედრა ჩაატარა. ამ თამაშით ალბათ ნებისმიერ სხვას თავისუფლად აჯობებდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ფედერერი მაინც უკეთესი იყო — დიდ ალპელს ისევ ვერავინ ეტოლება.

ერთადერთი, რაც გონსალესს შეიძლება ვუსაყვედუროთ, ისაა, რომ თავისი შანსი არ გამოიყენა — ჩილელი უბრალოდ ვალდებული იყო, პირველი სეტი აერთმია შვეიცარიელისთვის, როცა მეცხრე გეიმზე ბრეიკი გაკეთა და მხოლოდ თავისი მოწოდების მოგებაღა დარჩენოდა. მათი ათი ურთიერთშეხვედრის განმავლობაში გონსალესი ასე ახლოს არასოდეს მისულა ამ მიზანთან, მაგრამ გენიალური შვეიცარიელის არაადამიანურმა თვითდაჯერებულობამ აქაც გაიტანა თავისი — „მხიარულმა როჯერმა“ ისეთი სიმშვიდით მოიგერია ორი სეტ-პოინტი და ისე ადვილად გაათანაბრა ანგარიში, რომ ჩილელი სულიერად გატყდა. ფედერერმა ჯერ ტაიბრეიკზე იხეირა, მომდევნო ორ სეტში კი თითო ბრეიკი იმყოფინა და ტიტული დაიცვა, სულ კი მელბურნ-პარკის კორტებზე მესამედ მოიწყო ტრიუმფი.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის სიხარული და ემოციები, რითაც ფედერერმა თავისი მორიგი წარმატება აღნიშნა. ამის შემხედვარეთ ეჭვი არავის ეპარება, რომ როჯერს მოტივაციის ნაკლებობა არასოდეს შეაწუხებს.

ფედერერი პირველი ჩოგბურთელი გახდა, ვინც მიყოლებით ორჯერ მოახერხა ზედიზედ სამი სლემტურნირის მოგება. უკანასკნელი შვიდი სლემტურნირიდან კი შვეიცარიელმა ექვსზე იმარჯვა — მხოლოდ შარშან წააგო „როლან გაროსის“ ფინალში. გარდა ამისა, ფედერერი პირველი ჩოგბურთელია უკანასაკნელ 27 წელიწადში, სლემტურნირი სეტწაუგებლად რომ მოიგო — ბოლოს იგივე 1980 წელს საფრანგეთში ბიორნ ბორგმა მოახერხა. მელბურნში კი ანალოგიური მიღწევა 1971 წელს კენ როზუელის ანგარიშზეა, რომელიც, სხვათა შორის, გუშინდელ შეხვედრას ესწრებოდა. მას ფედერერმა მოუბოდიშა კიდეც, რადგანაც დიდი ავსტრალიელის რეკორდის თანაზიარი გახდა.

ფედერერის კიდევ ერთ რეკორდზეც ვთქვათ; მან ჯეკ კროუფორდის 1934 წლის მიღწევა გაიმეორა და ზედიზედ მეშვიდე სლემტურნირის ფინალში ითამაშა. სულ კი კარიერაში როჯერს უკვე ათი სლემტურნირი დაუგროვდა, 4 უიმბლდონი და 3-3 ავსტრალიისა და აშშ-ს ღია პირველობები. ყველა დროის ლიდერ პიტ სამპრასს კი ფედერერი ახლა მხოლოდ ოთხი ტიტულით ჩამორჩება.

„რომც მოვინდომო, ვერ ავხსნი, ამდენი ტიტული ასე მალე როგორ დავაგროვე. თუ შევძელი ამ დონის შენარჩუნება, შეიძლება პიტსაც გავუსწრო, რაც მართლა უდიდესი მიღწევა იქნება“ — ამბობდა ნამტირევს ფედერერი.

გონსალესს კი მხოლოდ ხუმრობაღა დარჩენოდა:

„მგონი, როჯერის მიმლოცველის თანამდებობა მერგო — უკვე მერამდენედ მიწევს მისთვის მორიგი ტრიუმფის მილოცვა. მარტო შარშან ეს სამჯერ დამჭირდა“.

დღით ადრე კი სერენა უილიამსმა, ყველა პროგნოზის საპირისპიროდ, ადვილად გადაუარა მარია შარაპოვას და მხოლოდ მეორე ჩოგბურთელად იქცა, ვინც განთესილებში ვერ მოხვდა, მაგრამ ტურნირი მოიგო. იგივე 1978 წელს კრის ონილმა გააკეთა.

სერენა შაბათს უსასტიკესად გაუსწორდა თავის მეტოქეს და საათ-ნახევარზე ნაკლები მოანდომა მის განადგურებას. დევქალა ამერიკელმა არაფრის გაკეთების საშუალება არ მისცა რუს პრიმას და კარგი გაქვეთილიც ჩაუტარა.

მოკლედ, ტრავმების მოშუშების შემდეგ სერენა ტრიუმფალურად დაბრუნდა — ეს მისი პირველი ტიტულია უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში. სხვათა შორის, ამერიკელის ბოლო ტრიუმფი სწორედ მელბურნ-პარკის კორტებზე შედგა. სულ კი კარიერაში ეს უმცროსი უილიამსის მერვე სასლემო ტიტულია.

**ბაჩა ლომაშვილი**

## ყველა ფინალი

**კაცები** როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (10, ჩილე) 7:6 6:4 6:4

**ქალები** სერენა უილიამსი (აშშ) — მარია შარაპოვა (1, რუსეთი) 6:1 6:2

**კაცთა წყვილები** ბოფ და მაიკ ბრიანები (1, ორივე — აშშ) — იონას ბიორკმანი, მაქსიმ მირნი (2, შვედეთი, ბელარუსი) 7:5 7:5

**ქალთა წყვილები** სარა ბლექი, ლაიზელ ჰუბერი (3, ზიმბაბვე, სამხრეთ აფრიკა) — იუნგ ჯან ჩენი, ჩია იუნგ ჩანგი (ორივე — ტაივანი) 6:4 6:7 6:1

**შერეული წყვილები** ელენა ლიხოვცევა, დანიელ ნესტორი (რუსეთი, კანადა) — ვიკტორია აზარენკა, მაქსიმ მირნი (ორივე — ბელარუსი) 6:4 6:4

**ჭაბუკები** ბრაიდენ კლაინი (ავსტრალია) — ჯონათან ეიზერკი (2, საფრანგეთი) 6:2 4:6 6:1

**გოგონები** ანასტასია პავლიუჩენკოვა (1, რუსეთი) — მედისონ ბრენქლი (16, აშშ) 7:6 7:6

**ჭაბუკთა წყვილები** გრემ დისი, ჰარი ჰელიოვაარა (ბრიტანეთი, ფინეთი) — სტივენ დონალდი, რუპეშ როი (8, ავსტრალია, ინდოეთი) 6:2 6:7 6:3

**გოგონათა წყვილები** ევგენია როდინა, არინა როდიონოვა (ორივე — რუსეთი) — ჯულია კოენი, ურსულა რადვანსკა (1, აშშ, პოლონეთი) — 2:6 6:3 6:1

ფიგურული სრიალი

ევროპის ჩემპიონატი ვარშავა. პოლონეთი 23 – 28 იანვარი

# მერე რა, რომ მხოლოდ მერვე
## ხვალე და აღდგომა გაისად ვნახოთ


AFP

შარშანდელ ევროპაზე მეხუთე ადგილი დაიკავა და მის წინ მყოფთაგან ჩემპიონი, რუსი ირინა სლუცკაია ვარშავაში არ ყოფილა; ტურინის ოლიმპიადაზე მეათე იყო და ევროპელთაგან მხოლოდ სამნი გაუშვა წინ და იმ სამში სლუცკაიაც იყო.

ამ გათვლითა და გაანგარიშებით ელენე გედევანიშვილს ვარშავაში მესამე ადგილი უნდა დაეკავებინა იტალიელი კაროლინა კოსტნერისა და შვეიცარიელი სარა მაიერის შემდეგ და იყო კიდეც ამ მესამე ადგილზე, მოკლე პროგრამა რომ დასრულდა.

მაიერსა და კოსტნერს ვერ გავასწრებ, მაგრამ მესამე ადგილისთვის ვიბრძოლებო, ასე გვითხრა კიდეც, ვარშავაში რომ შევეხმიანეთ, მაგრამ ვერ იბრძოლა და მოდით, ნუ გავამტყუნებთ.

პრაქტიკულად უვარჯიშებელს, სეზონის პირველი სტარტი ჰქონდა და იმ, მოკლე პროგრამითაც იმხელა სიამოვნება მოგვანიჭა, ხელის გულზე უნდა ვატაროთ და ყველა საიმისო პირობა შევუქმნათ, ორ-სამ წელიწადში პირველობისთვის ბრძოლა შეძლოს. სამ წელიწადში ვანკუვერის ოლიმპიადაა და ელენე გედევანიშვილს ძალუძს, გახდეს პირველი ქართველი სპორტსმენი, ზამთრის თამაშებზე მედალს რომ მოიპოვებს. არ გაგიკვირდეთ, და ნახსენები ხელშეწყობის პირობებში ეს მედალი, შეიძლება ოქროსიც იყოს.

ვარშავაში კი პატარა ქართველი მერვე ადგილს დასჯერდა. უვარჯიშებლობის, საშეჯიბრო პრაქტიკის უქონლობის, თუნდაც ასაკისა და გამოუცდელობიდან გამომდინარე, არ არის ურიგო შედეგი და მოდით, ელენეს ნურც წლევანდელ მსოფლიოზე მოვთხოვთ მაღალ შედეგს.

გაისად ვნახოთ. თუ პირობები ექნება და მოინდომებს, მას ნამდვილად ძალუძს უმაღლესი მწვერვალებისთვის ბრძოლა.

### სპორტული ცეკვები

| | |
|---|---|
| 1. იზაბელ დელოველი, ოლივიე შონფელდერი (საფრანგეთი) | 199,47 ქულა |
| 2. ოქსანა დიომინა, მაქსი შაბლინი (რუსეთი) | 199,16 |
| 3. ალბიონა დენკოვა, მაქსიმ სტავისკი (ბულგარეთი) | 193,73 |

### ქალები

| | |
|---|---|
| 1. კაროლინა კოსტნერი (იტალია) | 174,79 |
| 2. სარა მეიერი (შვეიცარია) | 171,28 |
| 3. კირა კორპი (ფინეთი) | 151,19 |
| 4. სუსანა პუიკიო (ფინეთი) | 146,02 |
| 5. ვალენტინა მარჩეი (იტალია) | 144,28 |
| 6. ალისა დრეი (ფინეთი) | 141,90 |
| 7. ელენა სოკოლოვა (რუსეთი) | 139,71 |
| 8. ელენე გედევანიშვილი (საქართველო) | 137,32 |

ჰოკეი

## რეგულარული ჩემპიონატი

26 იანვარი

**კაროლინა 6:2 ვაშინგტონი**
*2:1 3:1 1:0*
1:0 ბრინდამორი (4), 2:0 ჯასტინ უილიამსი (10), 2:1 კლარკი (15), 2:2 ოვეჩკინი (21), 3:2 ჯასტინ უილიამსი (26), 4:2 სტილმანი (36), 5:2 უიტნი (37), 6:2 სტაალი (42)

**დალასი 3:4 პიტსბურგი**
*1:0 1:2 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ზუბოვი (12), 1:1 სტაალი (29), 1:2 რეკი (33), 2:2 იოკინენი (35), 3:2 შტეფანი (50), 3:3 რეკი (52)

**ატლანტა 5:4 აილენდერსი**
*3:1 0:2 1:1 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 ჰნიდი (4), 2:0 კოვალჩუკი (5), 3:0 სიმი (6), 3:1 ჰანტერი (8), 3:2 შატანი (23), 3:3 ბლეიკი (34), 4:3 ჰოსა (41), 4:4 კამპოლი (47), 5:4 კოვალჩუკი (63)

**მინესოტა 2:1 კალგარი**
*0:0 1:0 0:1 0:0 (1:0 ბულიტები)*
1:0 როლსტონი (38), 1:1 ჯორდანო (44)

**სენტ ლუისი 2:1 დეტროიტი**
*0:0 1:1 0:0 1:0 (ოვერტაიმი)*
1:0 ჯონსონი (29), 1:1 ფრანცენი (30), 2:1 გერინი (62)

**ჩიკაგო 1:3 ნეშვილი**
*0:0 1:1 0:2*
0:1 კლეინი (26), 1:1 სიბრუკი (56), 1:2 ფიდლერი (58), 1:3 ნიკოლი (60)

**კოლორადო 4:5 ფინიქსი**
*1:1 3:1 0:2 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ლეოპოლდი (6), 1:1 რაინპრეხტი (20), 2:1 ლააქსონენი (23), 3:1 მაკლინი (25), 3:2 ნოლანი (31), 4:2 საკიკი (39), 4:3 პერო (49), 4:4 პერო (50)

**ედმონტონი 1:5 სან ხოსე**
*1:1 0:3 0:1*
1:0 პიზანი (14), 1:1 ტორნტონი (19), 1:2 მარლო (33), 1:3 გრირი (35), 1:4 რისმილერი (37), 1:5 მარლო (60)

**ვანკუვერი 2:3 ლოს ანჯელესი**
*1:2 1:0 0:0 0:1 (ოვერტაიმი)*
0:1 ოსალივანი (2), 0:2 ფროლოვი (13), 1:2 სალო (15), 2:2 ლინდენი (26), 2:3 ფროლოვი (62)

**ტამპა 0:2 ნიუ ჯერსი**
*0:1 0:0 0:1*
0:1 ჯიონტა (20), 0:2 პანდოლფო (60)

**კოლუმბუსი 3:2 ბუფალო**
*1:1 0:1 2:0*
1:0 ნეში (13), 1:1 დრური (16), 1:2 დრური (22), 2:2 კლეშლა (46), 3:2 ფრიტში (50)

27 იანვარი

**ფილადელფია 1:2 რეინჯერსი**
*0:0 1:1 0:1*
0:1 იაგრი (21), 1:1 პიტკანენი (24), 1:2 კროგი (44)

**ოტავა 3:1 ბოსტონი**
*0:0 0:0 3:1*
1:0 ივზი (43), 2:0 ნილი (48), 2:1 მიურეი (49), 3:1 ვერმეტი (60)

**ფინიქსი 2:7 პიტსბურგი**
*1:2 1:2 0:3*
0:1 მელოუნი (1), 1:1 დოანი (12), 1:2 ტელბოტი (14), 2:2 რაინპრეხტი (31), 2:3 უიტნი (34), 2:4 რუუტუ (38), 2:5 კროსბი (45), 2:6 პეტროვიცკი (46), 2:7 რეკი (53)

**ტორონტო 4:1 მონრეალი**
*2:0 1:1 1:0*
1:0 კუბინა (14), 2:0 ონილი (15), 2:1 პლეკანეცი (27), 3:1 სუნდინი (38), 4:1 კუბინა (44)

**სენტ ლუისი 3:6 ნეშვილი**
*2:1 0:3 1:2*
0:1 პარტნელი (5), 1:1 სტემპნიაკი (6), 2:1 დვორჟაკი (16), 2:2 სალივანი (23), 2:3 არნოტი (26), 2:4 ერატი (39), 2:5 ჩაიანეკი (47), 3:5 ერატი (47), 3:6 სალივანი (59)

**აილენდერსი 5:3 ბუფალო**
*1:1 1:2 3:0*
1:0 ჰანტერი (8), 1:1 ჰეხტი (16), 2:1 ეშემი (24), 2:2 ჰეხტი (25), 2:3 კოტალიკი (33), 3:3 ეშემი (47), 4:3 რობიტაილი (57), 5:3 ჰილბერტი (60)

**ფლორიდა 4:2 ნიუ ჯერსი**
*1:1 2:1 1:0*
0:1 ჯიონტა (5), 1:1 ოლეში (10), 1:2 ოდუია (23), 2:2 ოლეში (24), 3:2 კვიატკოვსკი (38), 4:2 შტუმპელი (60)

**ვაშინგტონი 7:3 კაროლინა**
*3:2 1:0 3:1*
1:0 სიომინი (8), 2:0 ოვეჩკინი (10), 3:0 სიომინი (13), 3:1 ჯასტინ უილიამსი (17), 3:2 კოული (18), 4:2 ფერი (36), 5:2 ბიჩი (44), 5:3 ტანეიბი (46), 6:3 კლარკი (52), 7:3 ლაიხი (57)

**ედმონტონი 4:3 ლოს ანჯელესი**
*1:1 2:1 2:0*
1:0 სმიტი (3), 1:1 კამალერი (20), 2:1 ჰემსკი (21), 2:2 ოსალივანი (32), 2:3 უილისი (34), 3:3 ჰორკოფი (42), 4:3 სმიტი (48)

**კოლუმბუსი 3:2 მინესოტა**
*2:0 1:1 0:1*
1:0 კლეშლა (9), 2:0 ფრიტში (10), 3:0 კარტერი (30), 3:1 როლსტონი (37), 3:2 დიუპუი (52)

სკელეტონი

## მსოფლიოს ჩემპიონატი
### სანქტ მორიცი (შვეიცარია). 26-27 იანვარი

**ქალები** 1. ნოელ პიკუს-პეისი (აშშ) 4წთ. 44,13წმ; 2. მაია პედერსენი (შვეიცარია) 4. 45,69; 3. კატი ულანდერი (აშშ) 4.45,85

**კაცები** 1. გრეგორ შტელი (შვეიცარია) 4.36,26; 2. ერიკ ბერნოტასი (აშშ) 4.37,84; 3. ზეხ ლუნხი (აშშ) 4.37,97

ხელბურთი

მსოფლიოს XX ჩემპიონატი
კაცები. გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი



AFP

# ერაძე და ისლანდერა ბრძელდება

მეორე ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე შვიდი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. პოლონელთა დიდსხვაობიან მოგების გარდა სხვა მატჩებში პრაქტიკულად საფინალო სასტვენამდე უმწვავესი ბრძოლა იყო.

ერთადერთი გუნდი, რომელიც წაუგებლად მიიწევს წინ, ოლიმპიური ჩემპიონი ხორვატიაა. მისი მორიგი ლუკმა ჩეხეთის ნაკრები გახდა, ოღონდ ოლიმპიონიკებს საკმაოდ გაუჭირდათ აუსტაიდერი მეტოქის დამარცხება — ანგარიში 11-ჯერ იყო თანაბარი და მხოლოდ თამაშის მიწურულს გატეხეს ხორვატებმა ჩეხების წინააღმდეგობა.

მორიგი შეხვედრა მოიგო როლანდ ერაძის ისლანდიამ, თუმც გაჭირვებით. არადა, კუნძულელები თავიდან დამაჯერებლად ლიდერობდნენ 6:3 13:8, მაგრამ შესვენების შემდეგ — სლოვენიელებმა მერვე წუთზე შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — 21:21, მეტის მიღწევა კი მათ ძალას აღემატებოდა.

ერაძემ მხოლოდ რვა წუთი ითამაშა, თუმც წარმატებაში საკმაო წვლილი შეიტანა — თავისი კარისკენ 11 ტყორცნიდან შვიდი მოიგერია, მათ შორის ორი პენალტიც.

დორტმუნდის „ვესტფალენჰალეში" 12 000 ქომაგის მხარდაჭერით გამხნევებულმა მასპინძლებმა ევროპის ჩემპიონ ფრანგებს სძლიეს პრინციპულ ბრძოლაში. ათწუთიანი თანაბარი მონაკვეთის (4:4) შემდეგ გერმანელები ზედიზედ ოთხი უპასუხო გოლით წინ გაიჭრნენ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

თავიდან მსოფლიოს ჩემპიონ ესპანელებსაც გაუჭირდათ უნგრელებთან, მეხუთე წუთზე სამ ბურთს აგებდნენ — 1:4, მაგრამ მერე ექვს წუთში ხუთგოლიანი სპურტით ინიციატივა ხელთ იგდეს და ბოლომდე აღარც დაუთმიათ.

წუხელ დასკვნით ტურში ფრანგებს არ უნდა გასჭირვებოდათ ტუნისელთა ძლევა, ხოლო მეორე ჯგუფის მეოთხე ვაკანსიისთვის რუს და უნგრელ ხელბურთელებს დიდი ომი ელოდათ.

**გია ახალაძე**

## მეორე ჯგუფური ეტაპი

### პირველი ჯგუფი

27 იანვარი

გერმანია 29:26 საფრანგეთი
ისლანდია 32:31 სლოვენია
პოლონეთი 40:31 ტუნისი

28 იანვარი

გერმანია 33:28 ისლანდია
პოლონეთი 38:27 სლოვენია
საფრანგეთი 28:26 ტუნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 4 | 0 | 1 | 162:147 | 8 |
| გერმანია | 4 | 0 | 1 | 157:138 | 8 |
| ისლანდია | 3 | 0 | 2 | 161:153 | 6 |
| საფრანგეთი | 3 | 0 | 2 | 142:128 | 6 |
| სლოვენია | 1 | 0 | 4 | 140:161 | 2 |
| ტუნისი | 0 | 0 | 5 | 142:173 | 0 |

### მეორე ჯგუფი

27 იანვარი

ხორვატია 31:29 ჩეხეთი
ესპანეთი 33:31 უნგრეთი
დანია 26:24 რუსეთი

28 იანვარი

ხორვატია 29:28 ესპანეთი
რუსეთი 26:25 უნგრეთი
დანია 33:29 ჩეხეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 5 | 0 | 0 | 145:128 | 10 |
| დანია | 3 | 0 | 2 | 141:134 | 6 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 2 | 152:145 | 6 |
| რუსეთი | 2 | 0 | 3 | 136:142 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 3 | 132:138 | 4 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 5 | 138:157 | 0 |

## მეოთხედფინალი. ხვალ

პოლონეთი — რუსეთი
გერმანია — ესპანეთი
ხორვატია — საფრანგეთი
დანია — ისლანდია

## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 28 იანვარი

**XI ტური**

| | | |
|---|---|---|
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 0,5:0,5 | ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0,5:0,5 | სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) | 0,5:0,5 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |

**XII ტური**

| | | |
|---|---|---|
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0:1 | თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 1:0 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| დავიდ ნავარა (ჩეხეთი) | 1:0 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |

# ტოპი და ჯერი ყაიმზე შეთანხმდნენ

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი | 8,0 |
| 2. | თეიმურ რაჯაბოვი | 8,0 |
| 3. | ლევონ არონიანი | 7,5 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 7,0 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 7,0 |
| 6. | ვიშვანათან ანანდი | 7,0 |
| 7. | დავიდ ნავარა | 6,0 |
| 8. | სერგეი კარიაკინი | 5,5 |
| 9. | რუსლან პონომარიოვი | 5,5 |
| 10. | სერგეი ტივიაკოვი | 5,0 |
| 11. | ლუკ ვან ველი | 5,0 |
| 12. | ალექსანდრ მოტილევი | 4,5 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 4,0 |
| 14. | ალექსეი შიროვი | 4,0 |



ჰოლანდიური ტოპალოვ — კრამნიკი ყაიმით დასრულდა

**ვეიკ ან ზეეში** შესაძლოა კიდევ ერთი საჭადრაკო სკანდალი აგორდეს. ერთ-ერთმა გერმანელმა ჟურნალისტმა ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი თაღლითობაში დაადანაშაულა.

„თითქმის ყოველი თამაშისას ტოპალოვი თავის მენეჯერ სილვიო დანაილოვს უყურებდა და მითითებებს იღებდა. ვან ველთან და კარიაკინთან შეხვედრისას დანაილოვი თითქმის ყოველი სვლის შემდეგ ოთახიდან გადიოდა, მობილურით ვიღაცას ელაპარაკებოდა და შემდეგ რაღაც მინიშნებებით თავის კლიენტს სვლებს კარნახობდა. მგონია, რომ 2005 წელს ტოპალოვი ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონი ასეთი ხრიკებით გახდა“ — წერს ჟურნალისტი.

ამ ბრალდებებს ბულგარული მხარე ჯერ არ გამოხმაურებია და ტოპალოვი კვლავაც ჩვეულად აგრძელებს თამაშს. მეთორმეტე ტურში იგი მთავარ მეტოქეს, ვლადიმირ კრამნიკს დაუპირისპირდა. შეგახსენებთ, რომ ეს ორი დიდოსტატი კატა-თაგვივითაა და კარგა ხანია, პრესის საშუალებით ლანძღავს ერთმანეთს. ყველაფერი კი ოთხი თვის წინ დაიწყო, როცა რუსმა ბულგარელს მსოფლიოს ჩემპიონობა აართვა.

ბრძოლა ვეიკ ან ზეეშიც გაგრძელდა, ოღონდ მხოლოდ დაფასთან. მეტოქეებმა დებიუტში ლაზიერის გამბიტი გაითამაშეს და ცენტრის გავითარებას შეუდგნენ. თავიდან რუსი გააქტიურდა, ეტლი გაუცვალა ბულგარელს და გაცვლებიც დაიწყო. ტოპალოვმა წინ მსუბუქი ფიგურები გაუშვა, ხელმწიფის ფლანგზე ოთხივე პაიკი დაქოქა და შავებს მიაწვა. კრამნიკმა მთელი ძალები ცხელ ზოლზე გადმოსვა, კვლავაც გაცვლებს მიმართა და 49-ე სვლაზე ყაიმს გამორჩა.

ბოლო ორ ტურში ტოპალოვმა 1,5 ქულა გაფანტა და ერთპიროვნული ლიდერობაც დაკარგა. მას გვერდით 19 წლის აზერბაიჯანელი თეიმურ რაჯაბოვი მოუსკუპდა.

**ლაშა გეგეჭკორი**


# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 3 | პორტსმუთი-მიდლსბრო | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 4 | შეფილდი-ფულემი | 2.25 | 3.10 | 2.95 | 1.30 | 1.27 | 1.51 |
| 23:45 | 5 | ვესტ ჰემი-ლივერპული | 4.90 | 3.30 | 1.70 | 1.97 | 1.26 | 1.12 |
| 23:45 | 7 | ბოლტონი-ჩარლტონი | 1.55 | 3.40 | 6.00 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:45 | 9 | რედინგი-უიგანი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 10 | ჩელსი-ბლექბერნი | 1.33 | 4.30 | 9.00 | 1.01 | 1.15 | 2.90 |
| 23:45 | 12 | მანჩესტერი-უოტფორდი | 1.15 | 5.60 | 16.00 | 1.00 | 1.07 | 4.14 |
| 23:45 | 14 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 29 | ბარნსლი-ქპრ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 23:45 | 30 | ბირმინგემი-საუთენდი | 1.37 | 4.10 | 7.20 | 1.02 | 1.15 | 2.61 |
| 23:45 | 32 | კოლჩესტერი-პრესტონი | 2.40 | 3.10 | 2.65 | 1.35 | 1.25 | 1.42 |
| 23:45 | 33 | ქოვენტრი-ლუტონი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 23:45 | 34 | დერბი-ბარნსლი | 1.70 | 3.30 | 4.60 | 1.12 | 1.24 | 1.92 |
| 23:45 | 35 | ჰალი-ლიდსი | 2.00 | 3.10 | 3.50 | 1.21 | 1.27 | 1.64 |
| 23:45 | 36 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 37 | სტოუკი-იფსვიჩი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:45 | 38 | სანდერლენდი-კრ. პალასი | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 23:45 | 39 | ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 40 | საუთჰემპტონი-უენსდი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 67 | ბერი-ჰერეფორდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 68 | მენსფილდი-ტორკი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 69 | ნოტსი-ბარნეტი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 70 | პიტერბრო-სუინდონი | 2.65 | 3.10 | 2.45 | 1.42 | 1.27 | 1.36 |
| 23:45 | 71 | რექსემი-სტოკპორტი | 2.45 | 3.10 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 23:45 | 563 | მაკლესფილდი-უოლსოლი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 84 | ოქსფორდი-რაშდენი | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:15 | 129 | კაიზერსლაუტერნი-კარლსრუე | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 150 | ნაპოლი-ჯენოა | 2.15 | 2.80 | 3.60 | 1.21 | 1.34 | 1.57 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 162 | სანჯოვანეზე-ლუკეზე | 2.15 | 2.60 | 3.70 | 1.17 | 1.35 | 1.52 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:30 | 219 | ლე ავრი-გენგამი | 1.65 | 3.20 | 5.00 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 261 | ვეენდამი-ივლსი | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 23:45 | 359 | ნასიონალი-მარიტიმუ | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| | | **საფრანგეთი. თასი** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 21:00 | 360 | მონაკო-სოშო | 2.05 | 2.90 | 3.65 | 1.20 | 1.31 | 1.61 |
| 21:00 | 361 | მონპელიე-ვანესი | 1.40 | 3.90 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.55 |
| 23:00 | 362 | ლიბურნი-სედანი | 2.95 | 2.90 | 2.35 | 1.46 | 1.30 | 1.29 |
| 23:00 | 363 | პსჟ-ვალენსიენი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 23:00 | 364 | ნანტი-ლილი | 3.00 | 2.90 | 2.30 | 1.47 | 1.30 | 1.28 |
| | | **31 იანვარი** | | | | | | |
| 23:00 | 365 | კლერმონი-ლანსი | 6.40 | 3.40 | 1.50 | 2.22 | 1.21 | 1.04 |
| 23:00 | 366 | მარსელი-ლიონი | 3.20 | 2.90 | 2.25 | 1.52 | 1.32 | 1.26 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 22:00 | 458 | ფრიოლუნდა-მორა | 1.70 | 4.40 | 3.00 | 1.22 | 1.08 | 1.78 |
| | | **ჰოკეი. ფინეთი** | | | | | | |
| | | **29 იანვარი** | | | | | | |
| 20:30 | 473 | ესპოო-ჰელსინკი | 2.00 | 4.00 | 2.50 | 1.33 | 1.11 | 1.53 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 22:30 | 522 | მანჰაიმი-დიუსელდორფი | 1.80 | 4.10 | 2.85 | 1.25 | 1.10 | 1.68 |
| 22:30 | 523 | ნიურნბერგი-იზერლონი | 1.45 | 4.40 | 4.70 | 1.09 | 1.10 | 2.27 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **30 იანვარი** | | | | | | |
| 22:45 | 531 | დავოსი-ამბრი | 1.45 | 4.30 | 4.80 | 1.08 | 1.11 | 2.26 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ინდური კინო იტალიურად: შურისმაძიებელი მორატი

## ტოსკანი ტროას ცხენს გააჭენებს



**იტალიური** და ესპანური გაზეთები საოცარ ამბავს ყვებიან: „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი „ბარსელონას“ 150 მილიონ ევროს აძლევს და სანაცვლოდ რონალდინიოს სთხოვსო — ასეთია „შავ-ლურჯების“ პასუხი მათი თანაქალაქელი მეტოქის, „შავ-წითელი“ „მილანის“ მიერ მადრიდის „რეალისგან“ რონალდოს ყიდვაზე.

მაინც, რა აუცილებელი იყო „მილანისთვის“ პასუხის გაცემა ან რა შუაშია სხვა გუნდი? თუ რონალდინიოს ყიდულობ, შენთვის იყიდე, უფრო ბუნებრივი არ არის?

საქმე ის გახლავთ, რომ მასიმო მორატი „მილანის“ მიერ რონალდოს ყიდვამ გაახელა და თან ისე, რომ ეს სიბრაზე ვერც დამალა, ყველამ გაიგო. შედეგად, იტალიურ „კორიერე დელო სპორტსა“ და ესპანურ AS-ში გამოქვეყნდა ცნობები მისი შურისმაძიებლური გეგმის შესახებ.

მაშ ასე, რონალდინიო. ცნობილია, რომ „შავ-ლურჯები“ რონალდინიოთი ყოველთვის აღფრთოვანებულები გახლდნენ და რამდენჯერმე სცადეს კიდევაც „ბარსელონასთან“ მის შესახებ საუბრის დაწყება. საინტერესოა, რომ ირიბად რონალდინიოს უკავშირდება რიკარდო ოლივეირას ყიდვაც, რამეთუ ამ ფეხბურთელის აგენტი რონალდინიოს ძმაა და მასთან თანამშრომლობა „ინტერის“ მხრიდან ნამდვილი მიზნისკენ ნაბიჯის გადადგმასაც ნიშნავდა.

AS ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ „ბარსას“ ვიცე-პრეზიდენტმა ფერან სორიანომ რონალდინიოს კონტრაქტზე ასეთი რამ თქვა: „მისი საკონტრაქტო პირობები განხილვის საგანი არ არის, რადგან თავად ხელშეკრულებას ვადა 2010 წლამდე აქვს“. ეს სხვა სიტყვებით იმას ნიშნავს, ფეხბურთელს ხელფასს არ გავუზრდითო.

იმავე გაზეთმა ჩაავლო „ბარსასთან“ დაახლოვებული მავანი მოხელის ნათქვამს: „რონალდინიო ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ ერთადერთი როდია, ვინც ენთუზიაზმით ალგავსებს“.

აქამდე რა იყო ცნობილი? ის, რომ 100 მილიონი ევროს ფარგლებში ერთმანეთს „ჩელსი“ და „მილანი“ ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მორატი თავისი 150-ით ნამდვილი მეხივით გავარდა.

ნუთუ ჭორადაც არ იყო რამე ცნობილი?

მხოლოდ ის, რომ მორატი დიდძალ ფულს ამზადებდა, რათა „ინტერის“ ფანებისთვის ახალი ვარსკვლავი შეეთავაზებინა — ბოლოს და ბოლოს 2008 წლის 9 მარტს კლუბის ასი წლისთავი მოდის, მაგრამ ახლა... ასე...

მაგრამ, მოდი „მოღალატე“ რონალდოს თემას დავუბრუნდეთ, რამეთუ რონალდინიოს ყიდვის გიჟური თემა სწორედ მან შვა. აი, რას ამბობს „ინტერის“ იმიჯ-კონსულტანტი (ასეთიც ჰყავთ) ოლივიერო ტოსკანი:

„რონალდო ჩვენი ტროას ცხენია, რომელიც „მილანის“ ბანაკში შევა და მისი მუცლიდან „ინტერის“ ხალხი ამოხტება. დიახ, მილანელთაგან რონალდოს ყიდვა სწორი ნაბიჯი იყო, ოლონდ „ინტერისთვის“...

**ბაპუნა ძიძია**

# მე თუ მოგებცი, შენ რატომ არ მაძლევ?

**ჯონ ტერი** თამაშს რომ მორჩება, მენეჯერი გახდება.

ასე რომ, „ჩელსის“ არცთუ ახლო მომავლის მწვრთნელი ცნობილია.

ეს იდეა კი რომან აბრამოვიჩს ეკუთვნის.

გასული წლის მაისიდან „ჩელსი“ და ტერი მის კონტრაქტზე მუშაობენ, რომლის მიხედვითაც, კაპიტანი კვირაში 130 ათას გირვანქას მიიღებს და დიდხანს დარჩება კლუბში. აბრამოვიჩი აქამდე ისეთი უფროსი იყო, რომ ტერისა და სხვა უფროს ფეხბურთელებს ყოველთვის ეკითხებოდა ჭკუას და სატრანსფერო გეგმების შესახებ მათ რჩევებსაც ითვალისწინებდა.

ტერის მომავალ მენეჯერად წამოწევა იმითაცაა დამაინტრიგებელი, რომ ჟოზე მაურინიუს მდგომარეობა გუნდში გართულებულია. თუმცა, აბრამოვიჩმა იცის, რომ ტერი და სხვა ლიდერები მაურინიუს ერთგული მხარდამჭერები არიან და კიდევ ერთმა ვარსკვლავმა, ეშლი კოულმა თქვა:

„ჩელსიში“ ჟოზეს გამო გადმოვედი. დიდი მწვრთნელია. ის თუ წავიდა, აქ რა ვქნა?“ დიდიე დროგბა კი, რომელიც წინა კვირაში მაურინიუს აქებდა, ახლა ანდრეი შევჩენკოზე ალაპარაკდა:

„მას უკეთ თამაში გამოუვა, თუ სიავეს დაიცხრობს. შევჩენკოს ბურთის მოცემა არ უნდა. მესმის, რომ თავად სურს გატანა. მე შემიძლია, უკეთესი გაგრძელებისთვის მივცე, მაგრამ ერთხელ მაინც მეც ხომ უნდა მომცეს? ის თანამშრომლობის და შეთამაშების არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს. ისეა, როგორც შარშან ერნან კრესპო იყო. ძნელია.

მე „ჩელსიში“ ამ პოზიციაზე მომიყვანეს, ის კი ცდილობს გვერდით ჩამწიოს“.

შევჩენკომ 21 პრემიერლიგურ თამაშში მხოლოდ 3 გოლი გაიტანა და გამოცოცხლება წინა კვირაში, „უიკომბთან“ სათასო მატჩში დაეტყო, სადაც დუბლი შეასრულა.

ინგლისური გაზეთები კი წერენ, რომ შევა აბრამოვიჩის პირადი მეგობარია, რამაც მაურინიო ძალიან გააწვალა.

**ირაკლი გამყრელიძე**





# ილ გრანდეს აღდგომა

## რონალდო მარადონას ჩამოუვარდა

**ადრიანო გალიანი** დარწმუნებულია, რომ რონალდოსა და მასიმო ოდოს დამატების შემდეგ „მილანი“ ისეთივე „ილ გრანდე“ გახდება, როგორიც 1980-იანი წლების ბოლოსა და 90-იანების პირველ ნახევარში იყო.

„ჩვენ ძველი დროის ვარსკვლავურ „მილანს“ ვაბრუნებთ — თქვა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა — ბოლოს და ბოლოს ჩვენ შევძელით შევჩენკო რონალდოთი და იაპ სტამი ოდოთი ჩაგვენაცვლებინა“.

გალიანიმ ეს ყველაფერი „მილანის არხზე“ ილაპარაკა.

„რონალდო ფრიად დამუხტულია, თავს ბედნიერად გრძნობს და საუცხოოდ იქცევა — დააზუსტა გალიანიმ, თუმც ბრაზილიელს „მილანთან“ კონტრაქტისთვის ხელი ჯერ მოწერილი არც აქვს — მისი აქაური ხელფასი მადრიდულთან შედარებით ცოტა ნაკლები იქნება და, ცხადია, იქნება გაცილებით ნაკლები იმასთან შედარებით, რაც საუდის არაბეთში გადასვლის შემთხვევაში ექნებოდა, მაგრამ ეს სხვას არაფერს ამტკიცებს თუ არა იმას, რომ რონალდოს მუხლჩაუხრელი შრომა და საკუთარი თავის კიდევ ერთხელ დამკვიდრება უნდა“.

და მაინც, რა ხელფასზეა ლაპარაკი? როგორც ამბობენ საუბარია მომავალ წელიწადნახევარში ასალებ 6,07 მილიონ ევროზე, რაც აშკარად ნაკლებია იმ 7,6 მილიონზე „რეალში“ რომ ჰქონდა ასაღები.

ცნობისთვის: დღეს გალიანი მადრიდს მიემართება, რათა „რეალის“ წარმომადგენლები 6 მილიონ ევროიან კონტრაქტზე დაითანხმოს.

„იმისათვის, რომ მოლაპარაკებები გაიოლებულიყო, რონალდო ხელფასის შემცირებაზე წამოვიდა, ასე რომ ახლა მას მოედანზელა ველოდებით. რაც შეეხება „რეალს“, ჩვენ მას ვარიანტი შევთავაზეთ, თუმცა კონტრპასუხიც მივიღეთ. მოკლედ, განსხვავება ჯერ არის, თუმცა იმედი მაქვს, რომ ამ განსხვავებას მალე გავაბათილებთ“.

შემდეგ, „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს იმ ჭორების უარყოფა მოუხდა, რომელთა თანახმად რონალდო ჯანმრთელობით და შესაბამისად ფიზიკური ფორმით ვერ დაიკვეხნის.

„ის გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ჩვენი ექიმები ელოდნენ — დააგვირგვინა გალიანიმ — მყესები სრულიად მორჩენილია და ორკვირიანი ვარჯიშის შემდეგ რონალდო სრულ ფორმაში იქნება“.

ეს ამბავი კი, როგორც ირკვევა, ძალიან ახარებს დიდ მილანელს პაოლო მალდინის.

„ყოველთვის ვოცნებობდი მასთან ერთად თამაშზე — თქვა ლეგენდარულმა „შავ-წითელმა“ — იმ ვარსკვლავებს შორის, რომელთაც ჩემი კარიერის განმავლობაში გადავეყარე, რონალდო მხოლოდ მარადონას ჩამოუვარდება. „მილანელოს“ საწვრთნელ ბაზაზე რომ მოვიდა, მოგვესალმა და რამდენიმე დღეში კვლავ შეხვედრა ისურვა. მისი ჩამოსვლით „მილანმა“, როგორც ხარისხიანმა გუნდმა, წინ დიდი ნაბიჯი ხომ გადადგა და კიდევ ფანებით დაწყებული, მოთამაშეებით დამთავრებული, ყველა ენთუზიაზმით აავსო“.

**ბაპუნა ძიძია**

### საბერძნეთი

სუპერლიგა XIX ტური

პანათინაიკოსი — პანიონიოსი 2:0; ეგალეო — ოლიმპია 1:2; ქსანთი — კალამარია 0:0; ატრომიტოსი — კერკირა 4:2; ერგოტელისი — პაოკ 0:0; იონიკოსი — არისი 0:1; ირაკლისი — აეკ 1:1; ოლიმპიაკოსი — ოფი 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 18 | 15 | 1 | 2 | 37:9 | 46 |
| პანათინაიკოსი | 19 | 13 | 2 | 4 | 31:15 | 41 |
| აეკ | 18 | 11 | 5 | 2 | 35:12 | 38 |
| პაოკ | 18 | 7 | 5 | 6 | 17:14 | 26 |
| არისი | 19 | 5 | 11 | 3 | 19:17 | 26 |
| ატრომიტოსი | 18 | 5 | 8 | 5 | 25:25 | 23 |
| ოფი | 18 | 6 | 5 | 7 | 21:24 | 23 |
| ქსანთი | 19 | 5 | 7 | 7 | 12:13 | 22 |
| ეგალეო | 19 | 6 | 4 | 9 | 19:24 | 22 |
| ლარისა | 18 | 5 | 6 | 7 | 17:26 | 21 |
| ერგოტელისი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:19 | 20 |
| კერკერა | 18 | 5 | 5 | 8 | 16:21 | 20 |
| ირაკლისი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:23 | 20 |
| კალამარია | 18 | 4 | 7 | 7 | 13:20 | 19 |
| პანიონიოსი | 18 | 4 | 7 | 7 | 12:22 | 19 |
| იონიკოსი | 18 | 2 | 3 | 13 | 10:34 | 9 |

### თურქეთი

სუპერლიგა. XIX ტური

ერჯიესი — ფენერბაჰჩე 1:1; გენჩლერი — სივა 0:1; გალათასარაი — ანკარა 2:0; რიზე — ანთალია 1:0; ანკარაგიუჯიუ — ბურსა 1:1; საქარია — ქონია 1:1; ტრაბზონი — ქაისერი 0:0; ბეშიქთაში — მანისა 3:1; დენიზლი — გაზიანთეფი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 18 | 11 | 5 | 2 | 36:16 | 38 |
| გალათასარაი | 18 | 9 | 6 | 3 | 34:20 | 33 |
| ბეშიქთაში | 18 | 9 | 5 | 4 | 26:17 | 32 |
| მანისა | 18 | 8 | 4 | 6 | 33:26 | 28 |
| ქაისერი | 18 | 7 | 6 | 5 | 22:20 | 27 |
| გენჩლერი | 18 | 8 | 3 | 7 | 20:19 | 27 |
| ბურსა | 18 | 7 | 4 | 7 | 22:22 | 25 |
| ქონია | 18 | 6 | 7 | 5 | 20:21 | 25 |
| სივა | 18 | 7 | 4 | 7 | 18:22 | 25 |
| ანკარაგიუჯიუ | 18 | 5 | 8 | 5 | 21:17 | 23 |
| ანკარა | 18 | 4 | 11 | 3 | 21:20 | 23 |
| გაზიანთეფი | 18 | 6 | 5 | 7 | 20:25 | 23 |
| რიზე | 18 | 6 | 3 | 9 | 15:20 | 21 |
| ტრაბზონი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:21 | 20 |
| დენიზლი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:17 | 19 |
| ანთალია | 18 | 3 | 8 | 7 | 18:22 | 17 |
| საქარია | 18 | 3 | 7 | 8 | 11:22 | 16 |
| ერჯიესი | 18 | 2 | 6 | 10 | 16:39 | 12 |

## გერმანია
### ბუნდესლიგა
### XVIII ტური

**აინტრახტი 1:3 შალკე**
0:1 ვარელა (17), 1:1 ტაკაჰარა (48), 1:2, 1:3 კურანი (70, 90)
აინტრახტი: პროლი, ოხსი, კირიაკოსი, ვასოსკი, შპიხერი, ჰუგელი, იონესი (ტურკი 76), შრეიტი, მაიერი, ამანატიდისი (ჰელერი 68), ტაკაჰარა
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
შალკე: ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, როდრიგესი, ერნსტი, კობიაშვილი (ბაირამოვიჩი 71), ვარელა (ლოვენკრანდსი 63), ლინკოლნი, ჰალილ ალტინტოპი (ჰამიტ ალტინტოპი 76), კურანი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: იონერი, რაფინია
მსაჯი: ფლეიშერი
51 500 მაყურებელი

**დორტმუნდი 3:2 ბაიერნი**
1:0 ფრეი (12), 1:1 ვან ბუიტენი (25), 1:2 მაკაი (42), 2:2 ფრეი (57), 3:2 ტინგა (59)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, დეგენი, ბრჟენსკა, მეცელდერი, დედე, კრუშკა, ტინგა, კრინგე, პიენაარი (ამედიკი 86), ფრეი (საჰინი 73), შმოლარეკი (ვალდესი 46)
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ბაიერნი: კანი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, ვან ბომელი (შოლი 80), სალიჰამიჯიჩი (დემიკელისი 46), კარიმი (პოდოლსკი 61), შვაინშტაიგერი, პიზარო, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: პიენაარი, ვაიდენფელერი, ვან ბომელი, პიზარო
მსაჯი: გრიოფე
80 708 მაყურებელი

**არმინია 1:1 ჰამბურგი**
0:1 ლიუბოია (10), 1:1 ბორგესი (89)
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, კუჩერა (ბორგესი 23), ვესტერმანი, შულერი, კაუფი, მარქსი, კობილიკი (აჰანფუფი 46), მასმანიდისი, ზუმა, ვიშნიარეკი
მწვრთნელი: ვონ ჰესენი
ჰამბურგი: როსტი, დემელი (შმიდტი 63), რეინჰარდტი, მატიისენი, ბენჟამინი, დე იონგი, იაროლიმი, სორინი (ფეილაბერი 46), ლაასი (მაჰდავიკია 67), ლიუბოია
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: აჰან ჰუფი, მარქსი, ბორგესი, კაუფი, დემელი, ლაასი
მსაჯი: ვაინერი
26 601 მაყურებელი

**ბოხუმი 0:1 მაინცი**
0:1 როსე (38)
ბოხუმი: დრობნი, ლენსე, მალტრიცი, ბუტჩერი, ბიონგი (ვან ჰუტი 80), ზდებელი (ფაბიო ჟუნიორი 74), დაბროვსკი, ეპალე, მისიმოვიჩი, ტროიანი, გეკასი
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
მაინცი: ვახე, დემირტაში, ფრიდრიხი, ნოვესკი, როსე (ვეიგელტი 58), გერბერი, ანდრიასენი, აზაუაგი, ფეულნერი, ზიდანი (იოვანოვიჩი 81), ზაბიჩი (ნიკულაე 75)
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ტროიანი, ანდრეასენი, აზაუაგი
მსაჯი: მაიერი
20 487 მაყურებელი

**ჰერტა 2:1 ვოლფსბურგი**
0:1 მადლუნგი (18), 1:1 ხიმენესი (27), 2:1 პანტელიჩი (86პ)
ჰერტა: შტუჰრი, ელეგაარდი, ფრიდრიხი, ვან ბურიკი, შიმუნიჩი, ფატი (ედუ 72), დარდაი, დეიაგა, ბაშთურქი (ნოიედორფი 82), ჟილბერტო, პანტელიჩი, ხიმენესი (შმიდტი 89)
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
ვოლფსბურგი: იენჩი, კიროგა, მადლუნგი, ჰოფლანდი, ვან დერ ჰეიდენი, კარჰანი, ვან დერ ლეეგტე (ბოაკიე 89), მენსეგეში (ჰილი 68), კრჟინოვეკი, მარსელინიო, კლიმოვიჩი
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: დეიაგა, ვან ბურიკი, ვან დერ ჰეიდენი, მადლუნგი, მარსელინიო
მსაჯი: ბრიხი
40 272 მაყურებელი

**ნიურნბერგი 4:1 შტუტგარტი**
1:0 საენკო (26), 1:1 კაკაუ (33), 2:1 გრეშკო (51), 3:1 შროტი (70), 4:1 მანინი (77)
ნიურნბერგი: შიოფერი, რეინჰარდტი, ვოლფი, ნიკლი, პინოლა (პოლაკი 82), მნარი (ბანოვიჩი 87), გალაშეკი, გრეშკო, ვიტეკი, შროტი (სიბონი 84), საენკო
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ოსორიო (ჰილბერტი 46), ტაშჯი, დელპიერი, ბოკა, პარდო, ფერნანდო, მეირა, ჰიცლშპერგერი, და სილვა (მანინი 76), გომესი, კაკაუ
მწვრთნელი: არმინ ფეე
გაფრთხილება: ვიტეკი, ვოლფი, ბოკა, პარდო
გაძევება: ტაშჯი (59)
მსაჯი: ფანდელი
35 082 მაყურებელი

**კოტბუსი 3:1 გლადბახი**
1:0, 2:0 რადუ (33, 39), 2:1 დეგენი (79), 3:1 მუნტიანუ (89)
კოტბუსი: ტიპლიცა, ჟელესი, მაკკენა, მიტრესკი, ცვიტანოვიჩი, კუკიელკა, როსტი, მუნტეანუ (კუნცელი 90), ბუნკელი (ბაუმგარდტი 64), რადუ, კლოიო (შაო 82)
მწვრთნელი: პატრიკ სანდერი
გლადბახი: კელერი, ბოგელუნდი, გოური, ზე ანტონიო, იანსენი, ტიისე (დელურა 64), დეგენი, პოლანსკი, ინსუა, სონკი (ბაუმოიანი 73), ტიგესენი (კაჰე 64)
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრხილება: მიტრესკი, როსტი, კუკიელკა, პოლანსკი, ბოგელუნდი, გოური
მსაჯი: კირხერი
13 044 მაყურებელი

**ვერდერი 3:0 ჰანოვერი**
1:0 ბოროვსკი (5), 2:0 ალმეიდა (67), 3:0 მერტესაკერი (74)
*კლოზემ ვერ გაიტანა პენალტი (70)*
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე, ფრინგსი, დ. იენსენი (შულცი 79), ჰარტი (ალმეიდა 60), ბოროვსკი, დიეგო (როზენბერგი 83), კლოზე
მწვრთნელი: ტომას შააფი
ჰანოვერი: ენკე, ბალიტჩი, ვინისიუსი, ჟურავი, ტარნატი, ლალა, იანკოვი, ბრუკინგი (ჰაშემიანი 72), ჰასტი (იენდრიშეკი 63), როზენტალი, შტაინერი (ფარენჰორსტი 82)
მწვრთნელი: იორგ შეკინგი
გაფრთხილება: ვომე, ბალიტჩი, ტარნატი
მსაჯი: მერკი
42 100 მაყურებელი

**ალემანია 2:3 ლევერკუზენი**
1:0 რეგეკამპფი (10), 2:0 იბისევიჩი (30), 2:1 შნაიდერი (44), 2:2 ვორონინი (54), 2:3 შნაიდერი (57)
ალემანია: შტრაუბი, პინტო (დუმი 72), კლიტცფერა, სიჩონი, ლაივკებისი, მ. ლემანი (ჰერციგი 85), რეგეკანფი, ფილი (როსლერი 65), შლაუდრაფი, ებერსი, იბისევიჩი
მწვრთნელი: მიხაელ ფრონცეკი
ლევერკუზენი: ბუტი, კასტრო, ჰაგუი (როკე ჟუნიორი 46; კალსენბრაკერი 68), ჟუანი, ბაბიჩი, შნაიდერი, როლფსი, ფრაიერი, ბარნეტა (კიესლინგი 46), ბარბარესი, ვორონინი
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
გაფრთხილება: სიჩონი, ჰაგუი, ბუტი
მსაჯი: კინჰოფერი
20 800 მაყურებელი



ჰერტა — ვოლფსბურგი. ალექსანდრ მადლუნგის გოლის მეტს „მგლები" ვერაფერს გამორჩნენ

# რიობერმა ფრეის თავი შეკარნახა

„დორტმუნდის" მწვრთნელ იურგენ რიობერის დებიუტი საუცხოო გამოდგა — მიუნხენის „ბაიერნი" დაამარცხა მატჩში, რომელშიც თავიდან იგებდა, მერე კი აგებდა. შეგახსენებთ, რომ რიობერმა ჰოლანდიელი ბერტ ვან მარვიიკი შეცვალა პირველი წრის დასრულების შემდეგ.

შვეიცარიელმა ალექსანდრ ფრეიმ ორი გოლით თავით გაიტანა, მესამე კი მისი პასით ტინგამ შეაგდო. „მე ვუთხარი ფრეის, თავით თამაშისას მეტი აგრესიულობა გმართებს—მეთქი და საამისოდ გიგანტობა რომ არაა საჭირო, მან დღეს დაამტკიცა" — განაცხადა „დორტმუნდის" მწვრთნელმა.

„ბაიერნის" შემადგენლობაში მოულოდნელი იყო ალი ქარიმის გამოჩენა, ხოლო მასპინძელთა რიგებში ტრავმამოშუშებული კაპიტანი კრისტოფ მეცელდერი ვიხილეთ. ამათგან მეცელდერმა უკეთ ითამაშა, ქარიმიმ კი ვერ გაამართლა.

მე-12 წუთზე დედემ ჩააწოდა ახლო ძელთან და ფრეიმ თავით გაიტანა სეზონში მეშვიდე გოლი, მაგრამ დანიელ ვან ბუიტენმა მალე გაათანაბრა — დორტმუნდელმა მცველებმა ვერ შეაჩერეს ვილი სანიოლის ჩახვეული ბურთი. ამის მერე ფლორიან კრინგეს თავური კანმა ნახტომში მოიგერია. ტაიმის მიწურულს კი „ბაიერნი" დაწინაურდა მასპინძელთა მეკარისა და მცველის შეცდომის შემდეგ. მათ ერთმანეთს ვერ გაუგეს, როი მაკაიმ კი ამით ისარგებლა და გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ნახევრის დაწყებიდან 15 წუთში „დორტმუნდი" უკვე იგებდა. ისევე, როგორც შესვენებამდე, დედემ ზუსტი პასი მიაწოდა ფრეის და შვეიცარიელმა კვლავ თავით შეაგდო, ხოლო ფრეის პასით ტინგამ მესამე გაიტანა. მაგათმა პოდოლსკი შეიყვანა და სამი თავდამსხმელით შეუტია, მაგრამ სტუმრებს ამანაც ვერ უშველა.

„ასე თუ გავაგრძელეთ, ჩემპიონობაზე არც კი უნდა ვიოცნებოთ" — თქვა ფილიპ ლამმა. „ბურთის გაგორების საშუალება და თავისუფლება მივეცით მეორე ტაიმში, ამიტომაც წავაგეთ" — დაასკვნა ვან ბომელმა, ხოლო ფელიქს მაგათმა განაცხადა: „არ ვიცი, რა მოხდა. ალბათ, შესვენების შემდეგ ზედმეტად თავდაჯერებულები გავედით მოედანზე, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა, ჯერ კიდევ 16 ტურია სათამაშო".

ჩემპიონობის ერთ-ერთმა მაძიებელმა „შალკემ" კევინ კურანის დუბლით გატეხა „აინტრახტი". გერმანელი ფორვარდი ნამატჩევს მწვრთნელმა აქო: „კურანიმ ბრწყინვალედ ითამაშა და ორი გოლის გარდა დიდი სამუშაო გაწია".

კევინ კურანიმ თავიდან საგოლე პასი მიითვალა, როცა გუსტავო ვარელამ ზედა კუთხეში გაიტანა, მეორე ნახევრის დასაწყისში კი ჰუგელმა ჩააწოდა და ტაკაჰარამ გაათანაბრა. ამის მერე „აინტრახტის" მეკარემ როდრიგესის დარტყმული მოიგერია, მაგრამ ველარაფერს გახდა კურანისთან, რომელმაც ბორდონის ნათავურალს თავითვე დაამატა და სტუმრები მეორედ დააწინაურა. თამაშის ბოლოს მანვე ლინკოლნის პასი მიიღო, მეკარეს გასცდა და მესამე გოლი შეაგდო.

„ჰამბურგი" ახლოს იყო სეზონში მეორე გამარჯვებასთან, მაგრამ „არმინიასგან" ბოლოსწინა წუთზე გაუშვა და ქულასლა დასჯერდა. „ზამთრის შესვენებისას გულმოდგინედ ვვარჯიშობდით და სამწუხაროა, რომ სამი ქულა ხელიდან გაგვისხლტა. არადა, 1:0-ზე ბლომად საგოლე მომენტები გვქონდა და მოგება ფსიქოლოგიურად გამოგვაკეთებდა" — თქვა „ჰამბურგის" მწვრთნელმა თომას დოლმა.

ცუდი დღე იყო „შტუტგარტისთვისაც", რომელსაც ფრისკენ მიჰყავდა თამაში, მაგრამ ნახევარ საათში სამი გოლი გაუშვა. ივან საენკომ ჰილდებრანდის მოგერიებულს დაამატა და ანგარიში გახსნა, მაგრამ სტუმარმა კაკაუმ უმალ გაათანაბრა. შესვენების შემდეგ კი „ნიურნბერგმა" გაილაღა. ვრატისლავ გრეშკომ და სილვასგან პასი მიიღო, საჯარიმოში შევიდა და ცაციით ზუსტად დაჰკრა — 2:1. ამის მერე სტუმრებს სერდარ ტაშჩი გაუძევეს და კაცნაკლულებმა კიდევ ორი გოლი მიიღეს. ჯერ მარკუს შროტმა შეაგდო, ხოლო ლუდოვიკ მანინიმ ბურთი მოგერიებისას საკუთარ კარში გაიტანა.

**ირაკლი ნინიძე**



დორტმუნდი — ბაიერნი. დუბლიორი ფრეი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 18 | 12 | 3 | 3 | 50:22 | 39 |
| შალკე | 18 | 12 | 3 | 3 | 32:18 | 39 |
| ბაიერნი | 18 | 10 | 3 | 5 | 32:22 | 33 |
| შტუტგარტი | 18 | 9 | 5 | 4 | 29:23 | 32 |
| ჰერტა | 18 | 8 | 6 | 4 | 30:25 | 30 |
| ლევერკუზენი | 18 | 8 | 4 | 6 | 31:26 | 28 |
| ნიურნბერგი | 18 | 5 | 11 | 2 | 25:17 | 26 |
| დორტმუნდი | 18 | 6 | 7 | 5 | 24:23 | 25 |
| არმინია | 18 | 5 | 8 | 5 | 24:20 | 23 |
| კოტბუსი | 18 | 5 | 5 | 8 | 21:25 | 20 |
| აინტრახტი | 18 | 4 | 8 | 6 | 23:31 | 20 |
| ჰანოვერი | 18 | 5 | 5 | 8 | 16:29 | 20 |
| ვოლფსბურგი | 18 | 4 | 7 | 7 | 13:18 | 19 |
| ალემანია | 18 | 5 | 4 | 9 | 30:36 | 19 |
| ბოხუმი | 18 | 5 | 3 | 10 | 22:31 | 18 |
| გლადბახი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:26 | 15 |
| ჰამბურგი | 18 | 1 | 11 | 6 | 17:23 | 14 |
| მაინცი | 18 | 2 | 8 | 8 | 12:30 | 14 |

**XIX ტური**
30-31 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| გლადბახი | : | ნიურნბერგი |
| შტუტგარტი | : | არმინია |
| ვოლფსბურგი | : | აინტრახტი |
| ბაიერნი | : | ბოხუმი |
| შალკე | : | ალემანია |
| ჰამბურგი | : | კოტბუსი |
| ლევერკუზენი | : | ვერდერი |
| ჰანოვერი | : | ჰერტა |
| მაინცი | : | დორტმუნდი |

### მეორე ბუნდესლიგა
**XIX ტური**

ბრაუნშვაიგი — კარლ ცაისი 1:0; ბურგჰაუზენი — კიოლნი 1:3; დუისბურგი — უნტერჰახინგი 4:2; აუე — ჰანზა 3:0; ფრაიბურგი — ესენი 3:1; ფიურტი — კობლენცი 2:0; ოფენბახი — მიუნხენი 2:1; აუგსბურგი — პადერბორნი გადაიდო; კაიზერსლაუტერნი — კარლსრუე დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარლსრუე | 18 | 12 | 5 | 1 | 43:18 | 41 |
| ჰანზა | 19 | 10 | 7 | 2 | 30:15 | 37 |
| დუისბურგი | 19 | 9 | 9 | 1 | 37:20 | 36 |
| აუე | 19 | 10 | 3 | 6 | 29:25 | 33 |
| ლაუტერნი | 18 | 8 | 7 | 3 | 25:16 | 31 |
| ოფენბახი | 19 | 8 | 4 | 7 | 26:27 | 28 |
| მიუნხენი | 19 | 8 | 4 | 7 | 24:25 | 28 |
| ფიურტი | 19 | 7 | 5 | 7 | 29:23 | 26 |
| აუგსბურგი | 18 | 6 | 7 | 5 | 18:16 | 25 |
| ფრაიბურგი | 19 | 6 | 7 | 6 | 21:25 | 25 |
| კიოლნი | 19 | 6 | 6 | 7 | 28:26 | 24 |
| პადერბორნი | 18 | 4 | 8 | 6 | 14:18 | 20 |
| კობლენცი | 19 | 5 | 5 | 9 | 20:28 | 20 |
| უნტერჰახინგი | 19 | 4 | 7 | 8 | 18:21 | 19 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 4 | 5 | 10 | 19:35 | 17 |
| კარლ ცაისი | 19 | 3 | 7 | 9 | 20:37 | 16 |
| ესენი | 19 | 3 | 5 | 11 | 16:25 | 14 |
| ბრაუნშვაიგი | 19 | 2 | 7 | 10 | 11:28 | 13 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პანტელიჩი (ჰერტა) | 11 |
| მაკაი (ბაიერნი) | 10 |
| კლოზე (ვერდერი) | 10 |
| კურანი (შალკე) | 8 |
| დიეგო (ვერდერი) | 8 |
| გომესი (შტუტგარტი) | 8 |
| ფრეი (დორტმუნდი) | 8 |

## ჰოლანდია

### ერედივიზიონი. XXII ტური

**ჰერენვენი 5:1 ჰერაკლესი**
1:0 ნილსონი (3), 2:0, 3:0 ალვესი (39, 44), 3:1 ქუანსა (51), 4:1 პრანიჩი (63), 5:1 ფრიენდი (78)

**ტილბურგი 0:0 ვიტესი**

**ალკმაარი 3:0 სპარტა**
1:0 არველაძე (22), 2:0 ოლფერსი (46ს.კ.), 3:0 მარტენსი (52)

**უტრეხტი 1:0 ექსელსიორი**
1:0 სომერსი (41)

**ნაიმეგენი 2:1 ბრედა**
1:0 ჰოლმანი (22), 2:0 დენებოომი (35), 2:1 გესელი (59)

**ფეიენორდი 2:1 ვალვაიკი**
1:0 გუზმანი (26), 2:0 ბაჰია (35), 2:1 ბერგი (53), 3:1 ხარისტიასი (85)

**გრონინგენი 2:3 აიაქსი**
1:0 ლევჩენკო (29პ.), 2:0 სუარესი (40), 2:1 სტამი (53), 2:2 ჰეიტინგა (82), 2:3 ლეონარდო (90)

**ფეიენორდი 2:1 ვალვაიკი**
1:0 გუზმანი (26), 2:0 ბაჰია (35), 2:1 ბერგი (53), 3:1 ხარისტიასი (85)

**ტვენტე 3:1 დენ ჰააგი**
1:0 ჰეუბახი (15), 1:1 დელორგე (33), 2:1 ტოუმა (58), 3:1 აისატი (88)

**როდა 2:0 პსვ**
1:0 საეთსი (22), 2:0 ოპერი (2:0)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 22 | 18 | 2 | 2 | 56:11 | 56 |
| აიაქსი | 22 | 15 | 3 | 4 | 52:23 | 48 |
| ალკმაარი | 22 | 14 | 5 | 3 | 60:22 | 47 |
| ტვენტე | 22 | 13 | 5 | 4 | 48:25 | 44 |
| ფეიენოორდი | 22 | 13 | 3 | 6 | 45:41 | 42 |
| ჰერენვენი | 22 | 11 | 3 | 8 | 40:29 | 36 |
| როდა | 22 | 9 | 5 | 8 | 27:29 | 32 |
| ბრედა | 22 | 9 | 5 | 8 | 29:32 | 32 |
| ვიტესი | 22 | 9 | 3 | 10 | 39:36 | 30 |
| ნაიმეგენი | 22 | 8 | 6 | 8 | 23:26 | 30 |
| გრონინგენი | 22 | 9 | 3 | 10 | 34:42 | 30 |
| უტრეხტი | 22 | 8 | 5 | 9 | 27:32 | 29 |
| სპარტა | 22 | 8 | 1 | 13 | 26:43 | 25 |
| ჰერაკლესი | 22 | 4 | 6 | 12 | 18:42 | 18 |
| ტილბურგი | 22 | 5 | 2 | 15 | 21:50 | 17 |
| ექსელსიორი | 22 | 4 | 4 | 14 | 28:44 | 16 |
| დენ ჰააგი | 22 | 3 | 4 | 15 | 24:43 | 13 |
| ვალვაიკი | 22 | 2 | 7 | 13 | 18:45 | 13 |

### II დივიზიონი. XXV ტური

კამბური — ოსი 2:1; დორდრეხტი — აპელდორნი 4:1; ალმერე — ვენლო 2:3; ზვოლე — ეინდჰოვენი 4:1; სიტარდი — მაასტრიხტი 0:0; ჰელმონდი — ვოლენდამი 1:1; ტელსტარი — გრააფსხაპი 0:0; დენ ბოსხი — ჰაარლემი 4:1; როზენდალი — ემენი 5:0; *ვეენდამი — იგლსი დღეს გაიმართება*

## ბელგია

### იუპილერლიგა XIX ტური

**შარლერუა 2:5 სტანდარდი**
0:1 იოვანოვიჩი (13), 1:1, 2:1 პერბე (24, 30), 2:2 კონსეისაო (38), 2:3 დეფისი (55ს.კ.), 2:4 კამარგო (69), 2:5 გერელტსი (76)

**მუსკრონი 0:3 გენტი**
0:1 გრეგუარი (40), 0:2 ოლუფადე (56პ), 0:3 გრეგუარი (81)

**ბრიუგე 0:1 რუზელარე**
0:1 ლეშხაუვერი (89)

**ბრიუსელი 2:0 ვარეგემი**
1:0 მატუმონა (59), 2:0 ოვანა (69)

**ლოკერენი 2:0 სერკლი**
1:0, 2:0 ტამბვე (70, 90)

**გენკი 3:0 ლიერსი**
1:0 ვანდერბერგი (39), 2:0 ვრანკენი (44), 3:0 ჰარუნი (64)

**სენტ ტრუიდენი 1:0 მონსი**
1:0 ჰუდტი (85)

**ვესტერლო 2:0 ბევერენი**
1:0, 2:0 ოგუნსოტო (3, 76)

**ბეერსხოტი 1:3 ანდერლეხტი**
0:1, 0:2 ტჩიტი (43, 60), 1:2 სტერკელე (72), 1:3 ვასილიევსკი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 19 | 13 | 5 | 1 | 43:18 | 44 |
| ანდერლეხტი | 19 | 13 | 4 | 2 | 38:18 | 43 |
| სტანდარდი | 19 | 11 | 4 | 4 | 40:23 | 37 |
| გენტი | 19 | 11 | 4 | 4 | 32:22 | 37 |
| ბრიუგე | 19 | 9 | 5 | 5 | 35:20 | 32 |
| შარლერუა | 19 | 8 | 5 | 6 | 26:24 | 29 |
| ვესტერლო | 19 | 8 | 4 | 7 | 24:24 | 28 |
| რუზელარე | 19 | 7 | 6 | 6 | 30:29 | 27 |
| ბეერსხოტი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:28 | 24 |
| სენტ ტრუიდენი | 19 | 7 | 2 | 10 | 24:28 | 23 |
| ზულტევარეგემი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:27 | 22 |
| სერკლი | 19 | 6 | 3 | 10 | 16:21 | 21 |
| ბრიუსელი | 19 | 4 | 8 | 7 | 19:23 | 20 |
| ლოკერენი | 19 | 4 | 7 | 8 | 15:23 | 19 |
| მუსკრონი | 19 | 4 | 7 | 8 | 24:34 | 19 |
| მონსი | 19 | 4 | 5 | 10 | 15:26 | 17 |
| ბევერენი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:28 | 17 |
| ლიერსი | 19 | 2 | 3 | 14 | 12:37 | 9 |

### მეორე დივიზიონი XIX ტური

